საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 12 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი. მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 181 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 181

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული.
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

დამწუხრებული მეუღლე პლატონ ივანეს ძე ჩახნაშვილი, დედ-მამა და დები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას
მარიამ იოსების ასულის თუხარელი-ჩახნაშვილისას
რომლის სულის მოსახსენებლად 13 მარიამობისთვეს, წინანდლის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. (2624 1—1)

თფილისის ქალთა მეხუთე გიმნაზია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაცვალებული დამსახურებული უფროსი ქალი
ნინო მერაბ ლორთქიფანიძის ასულის თავდგირიძის
ცხედრის გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 12 ამ თვეს, საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინიდან გიმნაზიის შენობაში (ანდრეევის ქუჩა № 42) ვაგზალზე, საიდანაც ცხედარს გაასვენებენ ქუთაისში; დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 13 ამ თვეს, დილის 12 საათზე, წირვის შემდეგ საფიჩხიის სასაფლაოზე. (2626 1—1)

ძმები: ალექსანდრე, იასონ და ნიკოლოზ, დები: ივდითი, თედოსი, ანეტა და ელენე, რძლები: ნატალია და თამარა ლორთქიფანიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებული
ნინო მერაბ ლორთქიფანიძის ასულის თავდგირიძის
ცხედრის გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 12 ამ თვეს, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინიდან (ანდრეევის ქუჩა № 42) ვაგზალზე, საიდანაც ცხედარს გაასვენებენ ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე. დაკრძალვა მოხდება პარასკევს 13 ამ თვეს, დილის 12 საათზე, წირვის შემდეგ. (2626 1—1)

ღრმად შეწუხებული ბარბარე იოსებ ვოლსკის ასული აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ მისი საყვარელი მეგობრის
ნინო მერაბ ლორთქიფანიძის ასულის თავდგირიძის
ცხედარს საკუთარი ბინიდან (ანდრეევის ქუჩა № 42) გაასვენებენ ხუთშაბათს, 12 ამ თვეს, საღამოს 6 საათზე ვაგზალზე, საიდანაც ცხედარს წაასვენებენ ქუთაისს. დაკრძალვა მოხდება პარასკევს 13 ამ თვეს დილის 12 საათზე, წირვის შემდეგ. (2626—1—1)

გაუბედურებული მშობლები: ლევან ვლადიმერის ძე და მარიამ პეტრეს ასული ჩიქოვანები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მე-8 კლ. მოწაფის მათი ერთად ერთი ასულის
თამარის
გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ სახლიდან ქ. ქუთაისში კაზაკოვის შესახვევი ხუთშაბათს 12 აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათზე და დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. (2627—1—1)

## მუშათა მაგიდა

ამით აცხადებს ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოება-დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის სურსათ სანოვაგით, რომ ისინი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მუშა-მოსამსახურეთა
ახალი სიები
და საალფავიტო ბარათები. ვინც 20 აგვისტომდე ზემო-აღნიშნულ ახალ სიებს არ წარმოადგენს, მათ პური და სხვა სურსათ-სანოვაგე არ მიეცემათ.

**წესი სიების შედგენისა:**

1) სიები უნდა იქნეს წარმოდგენილი ორ ცალად.
2) თითო სულზე თითო საალფავიტო ბარათი.
3) სიები და ბარათები უნდა იქნეს შედგენილი სუფთად, დაწერილი გარკვევით, შემოწმებული ადმინისტრაციის, საქარხნო კომიტეტის ან პროფესიონალურ კავშირების მიერ **სახელმწიფო ენაზე**; სიებზე აღინიშნება **ჯგუფის ნომერი.**
4) სიის ბლანკებზე აღნიშნული წესები სავალდებულოა.
5) დედ-მამა (შრომის უნარს მოკლებულნი) და და-ძმანი (ობლები) თუ მუშა-მოსამსახურის შესანახია უნდა სათანადო მოწმობები იქნას წარმოდგენილი საქარხნო კომიტეტიდან ან პროფესიონალურ კავშირებიდან მათი პასუხისმგებლობის ქვეშ.
6) ბლანკების და საალფავიტო ბარათების შეძენა შეიძლება მუშათა მაგიდაში ყოველ დღე დილის 8—1 საათამდის.
7) ყოველგვარი დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ **მხოლოდ ჯგუფების წარმომადგენლებს**; თუ ჯგუფის წარმომადგენელი ვერ დააკმაყოფილებს დაინტერესებულ პირებს, მათ ვთხოვთ შემოიტანონ **წერილობითი განცხადება**, სადაც უნდა იქნეს აღნიშნული დაწესებულება და ჯგუფის ნომერი.
8) ყალბი ცნობების მოწოდებისათვის დამნაშავენი იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი.

**მუშათა მაგიდა.**

(ნ. 5—4)

## ქ. ხაშური

კვირას, 15 აგვისტოს 1920 წ. ხაშურის რკ. გზის მუშათა კლუბში. ნაშუადღევის 3 საათზე. დანიშნულია ს. ს. დ. მუშათა პარტიის ხაშურის ორგანიზაციის წევრთა

## საზოგადო კრება

**განსახილველია შემდეგი კითხვები:**

1) მოხსენება კომიტეტისა, 2) განხილვა და დამტკიცება წლიური ანგარიშისა, 3) ახალი კომიტეტის არჩევნები, 4) სარევიზიო კომისიის არჩევა და მიმდინარე კითხვები...

ორგანიზაციის წევრების დასწრება სავალდებულოა. წევრებმა თან უნდა იქონიონ საწევრო ბილეთები; ვისაც არა აქვს გადახდილი საწევრო და დამატებითი გადასახადი—კრებაზე დაშვებულნი არ იქნებიან...

ს. ს. დ. მ. პ. ხაშურის ორგ. კომიტეტი. (4—1)

## თფილისის საქალაქო ინსტიტუტი

(არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტთან).

ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება სწარმოებს

## 20 ივლისიდან 30 აგვისტომდე

როგორც პირველ, ისე მეორე სპეციალობაზე,—ყველა ფაკულტეტზე. [illegible] ქუჩა, № 91. კანცელარია ღიაა: 8—11 ს. დილით—ყოველ დღე (უქმის გარდა). (ნ. 12—6)

## თამბაქოს ფაბრიკა
საქართ სალი

## „ნ. ი. ბოზარჯიანცი და ძ-ნი“

ამით აცხადებს ბ.ბ. მყიდველებს საყურადღებოდ, რომ ფირმის წარმომადგენლად თამბაქოს ნაწარმოების გაყიდვის საქმეში დანიშნულია

**იაკობ მიხეილის ძე ხარონოვიჩი**

კანტორა და ფაბრიკის საწყობი—სომხის ბაზარი № 76, ფაბრიკის მაღაზია—დამფუძნებელი კრების ქ. (ყოფილი სასახლის) „ნ. ი. ბოზარჯიანცი და ძ-ნი“ წარმომადგენლობა.

ფაბრიკანტი ი. ბოზარჯიანცი. (2610—1—1)

## ქუთ. პირველი საერთო განათლების ქალთა გიმნაზიის კურსებზე თბილისში მიიღება

მე-8, მე-6, მე-4 კლასებში [illegible] 10-დან 12 საათამდე. 1921 წლის გაზაფხულზე მოხდება

**მე-5 გამოშვება („ვიუსკი“).**

მისამართი: [illegible] (2620—1—1)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

**მ. ი. ბოლოხი**

და განაახლა მიღება [illegible] 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, [illegible] № 33. (2614—ო.)

## ახალი ზავი

[illegible]

საბჭოთა რუსეთს უფრო დიდი მიზანი აქვს, ვიდრე ამა თუ იმ პატარა ერის თვითგამორკვევა. ის ანთავისუფლებს მთელ ქვეყანას. თუ ამისთანა საქმე დროებით მაინც მოითხოვს რომელიმე კუთხის გადალახვას, საბჭოთა რუსეთი არ შეჩერდება... ის ადვილად დაადგამს ფეხს პატარა ჭიანჭველას, ოღონდ აღმოსავლეთ-დასავლეთს დაანახოს უკეთესი დრო.

ამ ფართო გზაზე ლენინის მთავრობამ დაიწყო როგორც ვიცით „აღმოსავლეთის პოლიტიკა.“ აღმოსავლეთში ქმნის ახალ რევოლიუციონურ ჯარს ევროპის და მთელი დედამიწის გასანთავისუფლებლათ. სომხეთი არსებობს მისთვის, როგორც გზა, როგორც საშუალება. ეს უნდა დაუმორჩილოს თავის მიზანს და არა პირიქით. თავის მიზანზე ხელს არ აიღებს სომხეთის გულისთვის სომხეთს გარდა, არის ოსმალეთი და ქემალ ფაშის ძალები, არის ბოლშევიკების თანხმობა ამ ძალებთან, რომლებიც ვერ შეურიგდებიან სომხეთის დამოუკიდებლობას.

ასე დახლართული კვანძი არ გაიხსნება იმ პატარა შეთანხმებით, რომელიც მომხდარა გუშინ. ეს უფრო შესვენებას გავს ძალების ხელახლა გადასახედავათ და გადასაწყობათ. შეიძლება სომხეთის დამოუკიდებლობა იცნონ გარეგნულად, მაგრამ ის დაიმორჩილონ პოლიტიკურათ, გაიხადონ ერთ-ერთ ხიდათ, გასავლელ გზათ. შეიძლება მოახდინონ მისი დაპყრობა ისე, რომ სულ არ იქნეს საჭირო ომი და სისხლის ღვრა. მოსალოდნელია ამ საშინელების განახლებაც. ყოველ შემთხვევაში სომხეთის დემოკრატიამ უნდა იცოდეს, რომ დამოუკიდებლობის საკითხი არსად და არასოდეს არ გადაწყვეტილა მარტო ქაღალდზე ხელის მოწერით. დიდი პო[illegible]

## „კომუნისტის“ მეთოდები

X.

[illegible]

მთავრობის წინააღმდეგ გულისწყრომის გამოწვევას. სწორეთ აქ არ გაუმართლდათ იმედი. თითონვე აღნიშნეს გუშინ წინ, რომ მთელი საზოგადოება სიჩუმის შეთქმულებით ელის ჩვენი ამხანაგების სიკვდილსო. გუშინ კი გამოაცხადეს,—ჩვენ გავიმარჯვეთო. აბა რა უნდა მოეთხოვოს ამ ხალხს? იმ „გამარჯვების“ შემდეგ, რომელიც ორასი კომუნისტის შიმშილობით იგემეს, მე მგონია, ჩვენებურ ბოლშევიკებს შეეძლოთ გადაედგათ მხოლოდ ერთი ნაბიჯი—აეკრათ ბარგი-ბარხანა და წასულიყვნენ აქედან, ყოველ შემთხვევაში თავი დაენებებინათ თავისი უნიადაგო მუშაობისთვის. ისინი კი გაუწითლებლად აგრძელებენ „თეორეტიულ“ მოღვაწეობას და, სხვათა შორის, მესამე ინტერნაციონალის საძირკველს „სკვნიან“ საქართველოს მუშათა კლასში.

აქაც იჩენენ თავისებურ შეუპოვრობას. ლენინის პარტია რუსეთში არ უარჰყოფდა, რომ მესამე ინტერნაციონალი აზიის სხივებით არის შემოსილი და ამართულია დასავლეთ ევროპის გასანათლებლათ. „ახ. კომუნისტს“ ჰქონება ლენინის და ზინოვიევის წიგნი „Противъ теченія“. აქ მოგროვილია ამათი საზღვარგარეთ ნაწერები ომის დროს. ლენინი აქ, თავის წერილებში ამტკიცებს, რომ მოწინავე ევროპა გაირყვნა, იქ სოციალისტებიც ბურჟუაზიას დაუმეგობრდენ, რევოლიუციონური ინიციატივა ახლა ჩამორჩენილ ქვეყნებს ეკუთვნისო. ეს „პრინციპი“ დაედო სარჩულათ მესამე ინტერნაციონალს. პირველ მოწოდებაში ნათქვამი იყო დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიასაც უნდა ვებრძოლოთ და იქაურ სოციალისტებსაცო.

დიახ, აღმოსავლეთი გეოგრაფიული ცნება კი არ არის ამ შემთხვევაში, რევოლიუციონური ცნებაა. დასაყრდნობი წერტილი ლენინის პარტიამ მოძებნა აზიაში. ის დღეს სულს ითქვამს საზიო პოლიტიკით, ეკიდლება მართალია ევროპასაც, ელაპარაკება ლოიდ ჯორჯს, მაგრამ საქმობს ქემალფაშასთან.

„ახ. კომუნისტის“ გუშინდელი მოკამათე ვერ ამჩნევს, რომ თითონაც აზიის „მსოფლმხედველობაშია“ ჩაფლული. ის სწერს,—რუსეთის პროლეტარი შეუდარებელ სიმაღლეზე დგას, ვინემ ინგლისის და ამერიკის პროლეტარიო. თუ ასეა, რაღათ დასჭირდა გაზეთს იმის მტკიცება, რომ მესამე ინტერნაციონალის კონგრესს მოწინავე ევროპიდან დაესწრო უმრავლესობა, (28) ჩამორჩენილიდან კი მარტო 20? თუ ჩამორჩენილი ქვეყნების მუშა უფრო მაღლა დგას, უმრავლესობაც აქედან უნდა ყოფილიყო.

ასეც იყო. აქედან იყო უმრავლესობა. „ახ. კომუნისტი“ ამ ფაქტს უკუღმა ატრიალებს. დასავლეთ ევროპას ეჭირა პირველი ადგილიო ამბობს. თითო დელეგატს მისცეს 3—5 ხმა და ათის მაგივრად გამოიყვანეს ოცდა რვა. რომელი პრინციპით ხელმძღვანელობდა კონგრესი ხმების დანაწილების დროს? რამდენი წევრის მიხედვით ეძლეოდა ამა თუ იმ დელეგატს თითო ხმა. გერმანიიდან მოსულს, მაგალითად, მისცეს ხუთი ხმა, რამდენი წევრი იყო მაშინ იქაურ კომუნისტების პარტიაში? ეს უბრალო კითხვა მოითხოვს უბრალო პასუხს, ლანძღვა-გინება არ არის აქ საჭირო. ასე უნდა დაისვას კითხვა სხვა ქვეყნების შესახებაც. „ახ. კომუნისტს“ დააჭირდება ციფრების შევსება.

ის არაფერს ამბობს ამერიკის და საფრანგეთის დელეგატების შესახებ. ეტყობა, არაფერი აქვს სათქმელი ჩემი ფაქტების დასარღვევათ. ესარჩლება მარტო რაკოვსკის. 1917 წლის დამდეგს ის იყო მემარჯვენე (და არა მემარცხენე) მენშევიკებთან. მაშინდელ კონფერენციაზე ჩვენ კომისიებში და საერთო სხდომებზედაც მის მოწონებულ რეზოლიუციებს ვებრძოდით მარცხნიდან. მერე რაკოვ კი გაბოლშევიკდა. რა ვუყოთ, ყველას შეუძლია რწმენის გამოცვლა. მე ეს არ გამკვირვებია. საკვირველი იყო მხოლოდ, რომ მესამე ინტერნაციონალში ის შევიდა ბალკანეთ-რუმინიის წარმომადგენლათ. ვინ მიანდო ეს წარმომადგენლობა?

პლეხანოვის მაგალითი არ გამოადგება „ახ. კომუნისტს“. საერთაშორისო კონგრესებზე და საერთაშორისო სოც. ბიუროში ის იგზავნებოდა რუსეთის ს. დ. პარტიის ყრილობების და კონფერენციების მხრივ.

ჩვენ მესამე ინტერნაციონალისაგან მოვითხოვთ მანდატს და არა პასპორტს. მის მოთავე პარტიას მანდატი არ აქვს არც რუსეთის მუშათა კლასისგან. ვინ იცის, ვის აირჩევდა და აირჩევს ის მუშათა კლასი რომელსაც აგერ ორ წელიწადზე მეტია ხმის ამოღების ნება წართმეული აქვს.

ორიოდე სიტყვა პირადი განცხადებისთვის. „ახ. კომუნისტი“ ვერაფერს გახდა ფაქტებით და დებულებებით. ამიტომ ჯერ მოინდომა ჩემი გამოცხადება დენიკინის მოტრფიალეთ. აქაც ვერ ნახა, რასაც ეძებდა. ახლა მეკითხება,—ნებაყოფილობით მიანებეთ თავი რუსეთის ს. დ. პარტიას, თუ გამოგრიცხეს ამ პარტიიდანო. „ახ. კომუნისტის“ სამწუხაროთ არც გამოურიცხავართ, არც აღძრულა კითხვა ჩემი გამორიცხვის შესახებ. უკრაინის ს. დ. ყრილობაზე სულ ბოლო დროს, როცა მენშევიკების უმრავლესობა ყოველნაირ საზღვარს გადასცილდა ბოლშევიკებისაკენ გადახვრაში, მე გამოვდიოდი, როგორც „კონტრ-რევოლიუციონერი“, მაგრამ მთავარ კომიტეტში (ეს სახელი ერქვა იქაურ ცენტრ. კომიტეტს) მაინც ამირჩიეს, როგორც უმცირესობის წარმომადგენელი.

ერთხელ კიდევ უნდა ვსთქვა,—„ბედათ არ სწყალობს კომუნისტს“. ეძებს ჩემ შესარცხვენ ფაქტებს... ეძებს ხელგაშვერილი. ისეთი გრძნობით ვუყურებ ამ გაშვერილ ხელს, რომ მე თითონ მივცემ, რომ მქონდეს.

**ხ. დევდარიანი.**

## პრესა

„კომუნისტის“ მე-13 ნომერში ბ. რ. კ. ასე ხსნიდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოსთან ზავის შეკვრას:

„ბოლშევიზმი ეს ისეთი ნაყოფიერი, საერთაშორისო იდეაა, რომ ჩრდილოეთიდან მოსულ შეიარაღებულ ძალასთან ერთად უთუოდ შესძლებდა საქართველოს დაპყრობას და ეს საქართველოს კომუნისტების სრული „იდეური“ გამარჯვება იქნებოდა. მარა ეს, როგორც ვთქვით, არ მოხდა, მოხდა ის, რაც ისევ და ისევ კომუნისტური იდეის, რუსეთის ძლევა-მოსილი წითელი არმიის მოსალოდნელ გამარჯვებას ჰმოწმობს, **პოლონეთთან რევოლიუციურ დიდ ომში ჩაბმულმა რუსეთის პროლეტარიატმა საქართველოში ბოლშევიზმის გამარჯვების საკითხი სხვა დროისთვის გადასდო და 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ იცნო**“.

ცხადია, ამ სიტყვებში ისმის საქართველოს კომუნისტების მუქარა საქართველოს მიმართ: მოიცათ, საბჭოთა რუსეთი მოიცლის და მაშინ გაგისწორდებათო. ეს მუქარა იმდენათ უხეშათ და უდიპლომატიოთ არის გამოთქმული, რომ თვით „კომუნისტსაც“ კი უგრძვნია, რომ მის გულუბრყვილო თანამშრომელს უნებურათ გამოუმჟღავნებია ის ზრახვები, რომლებსაც გულში ზრდის ყოველი ჩვენებური კომუნისტი, და მე-13 ნომერში დაბეჭდილს წერილს მე-14 ნომერში ასეთს შენიშვნას უკეთებს:

„ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (13) რ. კ. წერილზე შეცდომით შენიშვნის გაკეთება გამოგვრჩა. შენიშვნა შემდეგში მდგომარეობს: ავტორის ზოგ აზრს რედაქცია არ იზიარებს. **რედაქცია**“.

ბ. რ. კ—ის „ზოგ აზრს“ შეიძლება არ იზიარებდეს „კომუნისტის“ რედაქცია, მაგრამ დარწმუნებული ვართ იგი სწორეთ იმას იზიარებს, საიდანაც აშკარათ ჩანს ჩვენებური კომუნისტების წმინდა მოღალატური და საქართველოს დამოუკიდებლობის დამამხობელი პოზიცია. რაც უნდა მალონ მათ ეს, შუბი ხალთაში არ დაიმალება.

* * *

„მშაკი“ (№ 66) სწერს:

„ზანგეზურზე არაქსის ხეობით შემოსულ სლავო-თურანული იმპერიალიზმი საშინელი თავზარ დამცემია არა მარტო სომხებისთვის. ყველა პატარა და სუსტი სახელმწიფოს ბედიღბალი ერთი და იგივეა მსოფლიო მტაცებელთ გაღებული პირისათვის. ბოლშევიკების ჯარის სარდალი ვასილენკო „ცდილობს“ ნახიჩევანის ხალხი დაიხსნას ხოცვა-ჟლეტისაგან. შემდეგ წავა ერევანს, ალექსანდროპოლს იმავე მიზნებით, წავა ყარსს, და მერე დაუდგება თფილისის გზას.

„მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სომხებს მზად ჰქონდათ პოლიტიკური პროგრამა. ეს იყო შეერთება სომხეთისა და საქართველოსი ერეკლე მე-II მეთაურობით, რომ ასე მოეწყოთ ქრისტიანული კულტურა, მტკიცე საფუძველი ჩაეყარათ ამ კულტურისთვის საუკუნო და შეურიგებელი მტრის წინააღმდეგ. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ ერეკლე უნდა შეერთებოდა მებრძოლ ყარაბაღს. უნდა ესარგებლნა მაშინდელი სპარსეთის სრული სისუსტით და ამიერ-კავკასიის ხანების შეუთანხმებლობით. ასე უნდა შეერთებულიყო ორი მოძმე ხალხი. ამ შეერთების შემდეგ ქართველებს უნდა აერჩიათ თავიანთი სახელმწიფოებრივი ფორმა, სომხებს კი უნდოდათ შემოეღოთ თავისთვის რესპუბლიკა. ერეკლე, საქართველოს ხელმწიფე, იმავე დროს ხდებოდა გამოუცვლელი პრეზიდენტი სომხეთისა და ეს თანამდებობა გადადიოდა შვილისშვილზედ. ერთი სიტყვით სომხები წინადადებას აძლევდნენ საქართველოს, რომ ორ ერს მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ ამ ფორმით, რასაც ეწოდება პირადი შეერთება.

„ერეკლე ყოჩაღი კაცი იყო, მაგრამ არ ჰქონდა ორგანიზატორული უნარი. ვერ შეიგნო სომეხ-ქართველთა შეერთების უდიდესი მნიშვნელობა. რომ ეს შეეგნო მას, მაშინ ამიერკავკასიის ბედ-იღბალი, სრულებით სხვა გზით წავიდოდა. ამის აწერა ახლა ზედმეტია. ეს ცხადია ისედაც. „ერეკლემ არა თუ ვერ გაიგო ამ მიზნის შინაარსი, არამედ—მსხვერპლი გახდა ყალბი პოლიტიკისა. იმის მაგივრად, რომ შეერთებულიყო ყარაბაღთან, ის მიემხრო სისხლის მსმელ ხანს. ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა წარსულში და აწმყოშიც იმაშია, რომ ეგონათ შეიძლებოდა გულწრფელად და სწორეთ თათრებთან სამხედრო კავშირის დაჭერა.

„რა იყო შედეგი? ერეკლე ამ თავად მოტყუებული რჩებოდა თავის მოკავშირეების მხრით და ბოლოს დარჩა მარტოთ; სომხებიც დარჩნენ მარტოთ და ბოლოს დამარცხდნენ.

„და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო ასეთ პირობებში. სუსტი და უძლური ერეკლე ხელმწიფე წავიდა ქალაქ გეორგიევსკში და გადასცა თავის თავი რუსების „უმოწყალეს დედოფლის ნებას“. ესე იგი, წავიდა შემოსაყვანათ გარეშე ძალისა და თავის ქვეყნის ათასი წლის დამოუკიდებლობა გაანადგურა. საქართველო გადაიქცა რუსეთის ერთ ოლქათ. იგივე ბედი ეწვია, რა თქმა უნდა, სომხეთსაც.

„აი რას ამბობენ ფაქტები. ისინი დღესაც ლაპარაკობენ, დღესაც გვიბრძანებენ.

„ომის ველი საერთოა. შეიძლება შეერთებული ძალით ბრძოლის წარმოება, და გამარჯვება, შეძლება

## დღეს

[illegible]

...გადაწყვეტილებას არ ღებულობს.

ფრანგული ცნობით, რადგან რუსეთის[illegible] 10 დღით დროებით ზავის შეკვრაზე გაისის კო[illegible]ტანებითი ზომები იხმაროს.

უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავ[illegible] იქნება, ბალშევიკების წინააღმდეგ უნგრეთი[illegible] ამოუჩენს.

გერმანული პრესა პროტესტს აცხადებს[illegible] გერმანიასა და ბალშევიკებს შორის შეთანხმება მომხდარიყოს.

გერმანული ცნობით ჩიჩერინს რადიოთი უცნობებია ლოიდ ჯორჯისთვის, რომ მოსკოვს გულწრფელად სურს გენ. ვ ანგელის ჯარის შესახებ შეუთანხმდეს ინგლისხო.

---

ცალკცალკე, შეუთანხმებლათ ბრძოლა და დამარცხება.

„ნუთუ ძნელია ამ ორი მდგომარეობიდან ერთის არჩევა."

ერეკლე II და მე 18 საუკუნის მოღვაწეთა „შეცდომებზე" ჩვენ არას ვიტყვით. ჩვენ გვგონია, რომ ასე შორეული ისტორიული ფაქტების დაფასება „შეცდომების" და „არა-შეცდომების" თვალსაზრისით ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც ერეკლეს დროის მოღვაწე და რუსეთის გაფეთრებული მომხრე სომეხ-ეპისკოპოს არღუთაშვილის პოლიტიკის აწონ-დაწონვა ამავე თვალსაზრისით. რაც შეეხება იმ პარალელს, რომელიც გაჰყავს „მშაკს" შორეული წარსულის და სულ ახლო აწმყოს შუა, ამაზე უნდა შემდეგი ვუპასუხოთ: ჩვენი დემოკრატია ვერ იხელმძღვანელებს „ქრისტიანული" და „არა-ქრისტიანულ კულტურის" თვალსაზრისით; ჩვენი სახელმწიფო მოკავშირეებს ვერ აირჩევს იმის და მიხედვით, თუ ქრისტიანია ერი თუ არა-ქრისტიანი. ჩვენ მუდამ ვიდექით ამიერ-კავკასიის ყველა ერთა (მიუხედავათ სარწმუნოებისა) შეთანხმების ნიადაგზე. და თუ ეს შეთანხმება, მიუხედავათ ჩვენი ცდისა, ვერ მოხერხდა, ამაში ჩვენი დემოკრატია და ჩვენი რესპუბლიკა ყველაზე ნაკლებ არის დამნაშავე. მიუხედავათ დღეს-დღეობით ამ მარცხისა, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ ამიერ-კავკასიაში ზოგიერთი ერების კოალიცია სხვა ერების წინააღმდეგ სრულიად დაუშვებელია და მუდმივი ომის და სისხლის ღვრის მომასწავებელია. ამიერ-კავკასია ან იარსებებს ყველა ერთა თანხმობით, ან სულ ვერ იარსებებს.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**მუშების მდგომარეობა სოვხოზებში.** მოსკოვის გუბერნიის სასოფლო მეურნეობის შრომის ინსპექტორის რაიონში—არის სულ საბჭოთა—320 მეურნეობა და წარმოება, თუ არ ჩავთვლით არტელებს, კომუნებს და სხვას. ყველა სოვხოზში ყოველი ოჯახი ცხოვრებს და მუშაობს სხვადასხვა პირობებში, მუშების ფსიქოლოგია ძლიერ მრავალფეროვანია. ომმა ოთხი წლის განმავლობაში სოვხოზებში დაასახლა ლტოლვილნი, რომლებიც თითქოს დროებით ცხოვრობენ, და ამასთანავე აქვე არიან ბევრი ლტოლვილნი, რომლებიც ადმინისტრაციაში მოხვდნენ. სოვხოზების მუშები ცხოვრობენ ნახევრად დანგრეულ შენობებში, დადიან ქალამნებით ნესტიან დარში, ყველას დაფლეთილი ტანისამოსი აცვია და ეს იმიტომ, რომ იმათ არ მიუღიათ არავითარი ფეხსაცმელი და ტანისამოსი. ყმაწვილები 14—16 წლამდის მუშაობენ კავშირებში ყოველგვარ სამუშაოზე, სალეწავ მანქანაზე, საჯინიბოში, ცხოველებთან; მათი მუშაობის დრო განუსაზღვრელია, ზოგჯერ ისიც ხდება, რომ მუშაობენ სადგურში დილიდან შუაღამემდის. ბავშვებს 14 წლამდის არც ერთ სოვხოზში არ ასწავლიან წერა-კითხვას; სკოლები სოვხოზებში არ არსებობს, არ არის სოფლებშიც, არ არიან მასწავლებლები, ისინი ან კურსებზე მეცადინეობენ, ან და წავიდნენ სურსათის უქონლობის გამო. თავისუფალ ბავშვებს კი მშობლები გზავნიან სხვა და სხვა ადგილას სამუშაოთ, რასაც ჰქონდა ადგილი შემდეგ სოვხოზებში: „ლიუმანოვო"-ში და სხვებში. ბევრ სოვხოზებში არ აქვთ ცეცხლის ჩასაქრობი მოწყობილობა. ბევრ სოვხოზებში სცხოვრობენ ისეთი პირები, რომლებსაც სოვხოზთან არავითარი საერთო არ აქვთ, როგორც მაგ. უბნის აგრონომები, იმათი თანაშემწეები, უბნის მიწის მზომლები, მეჟუყეები და სხ., მათ უჭირავთ ფართო ბინები, და მათ როგორც მუშებს, ისე აძლევენ მუშები შეშას, წყალს და სხ. რათ არ უნდა იცხოვრონ მათ იმ ცარიელ საცვარაკო სახლებში და გლეხების ქოხებში, რომლებიც მათ სამსახურის რაიონშია? მუშაობენ იმ დაწესებულებებში, რომლებიც გლეხებს ემსახურებიან, და სურთ კი სოვხოზებში ცხოვრება: იმათ იზიდავს კარგი მოწყობილება ბინების და ცხოვრების, ამასთანავე, იქვე გვერდით—წყალი და შეშა. მუშები კი განაგრძობენ ცხოვრებას ჭუჭყიან და ვიწრო ბინებში, მთელი ოჯახები ამზადებენ შეშასა და წყალს და ამუშავებენ ამ საქმეზედ მცირე წლოვან ბავშვებსაც კი. სოვხოზ „ვალუევო"-ში პოდოლსკის მაზრაში მოთავსებულნი არიან: ორი მეტყევე, მიწისმზომელი, აგრონომის თანაშემწე და მოსკოვის სახელმწიფო შაქარ-რაფინადის ქარხნის მუშების პარტია; გამგეს დაიკავა კარგი ბინა ისე, როგორც მისმა თანაშემწემ და კანტორის მოსამსახურეებმა. სოვხოზის მუშები კი შერეკილნი არიან სხვა და სხვა ბნელ და ვიწრო ყოფილ საკუჭნაოებში და ორანჟერეებთან მიშენებულ ოთახებში, სადაც ნესტიანი კედლებია. ვერეისკის მაზრის სოვხოზ „ერემინო"-ში სახლები ძალიან ცოტაა. მუშები ძლიერ შევიწროვებულათ ცხოვრობენ, ხბოებთან ერთად. მუშები კი სოვხოზმა შეავიწროვა. სოფლებში გლეხების ბევრი ცარიელი სახლებია. მუშების ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. საჭიროა მუშების უზრუნველყოფა საუკეთესო ბინებით. მოსკოვის ს. მ. მუშების შრომის ინსპექტორი ა. შერშოვი. („პრავდა" № 148—8 ივლისი).

## „წითელ" აზერბაიჯანში.

(გაზეთებიდან)

[illegible] „კომუნისტში" მოთავსებულია შემდეგი წერილი: „დერ ბ. მოძმ. საზ. „კოოპერაციის" თავმჯდომარესადმი 14 მუშის მიერ ხელმოწერილი: ამხანაგებო! მოგმართავთ თქვენ ბევრ ამხ. მუშა-მოსამსახურეთა დავალებით. ჩვენ, ვინც პაპიროსს ეწევა, ივლისში ასოცდა ხუთი პაპიროსი მოგვცეს, 500-ის მაგიერ, რომელიც ნორმით გვეკუთვნოდა ტარიფის ანგარიშში. ცხადია, ეს რომ მოეცათ, მაინც ცოტა იქნებოდა, საჭიროა არა ნაკლებ 1000 პაპიროსისა. ამის გამო სპეკულიანტი ვაჭრები ტყავს გვაძრობენ: $\frac{1}{8}$ გირ. „მახორკაში 60—120 მან. გვართმევენ, $\frac{1}{4}$ გირ. თამბაქოში—500 მან. და პაპიროსის ქაღალდი კი სრულიად არ იშოვება.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 აგვისტო.

### გერმანული ცნობები.

**ნეიტრალიტეტისათვის**

კვირას ბოხუმში საბჭოთა რუსეთის შევიწროვების წინააღმდეგ გამართულ მასიურ მიტინგზე ყველა სოციალისტურმა პარტიამ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს პოლონეთისათვის კონტრაბანდით მიწოდება ტრანსპორტისა თუ გერმანიის ნეიტრალიტეტს პატივისცემით არ მოეპყრნენ ისინი საერთო გაფიცვით იმუქრებიან.

**პროტესტი და ცნობის უარყოფა**

გერმანული პრესა სასტიკ პროტესტს აცხადებს პოლონელების ინსინუაციის გამო იმის შესახებ, თითქოს გერმანიასა და ბალშევიკებს შორის მომხდარიყოს ფარული შეთანხმება.

**რეპრესიები გერმანელთა წინააღმდეგ**

მარიენვერდერიდან მოსული ხმები ამტკიცებენ, რომ პოლონელები გერმანელ ქვეშევრდომებს უსიამოვნებას აყენებენ. სოლდაუში პოლონელებმა გაარჩიეს გერმანული მატარებელი, დაიჭირეს მოსამსახურეები და მათ ტანისამოსიც კი გააძრეს.

გერმანული პრესა ბეჭდავს პოლონეთის მთავრობის ბრძანებას, რომლის თანახმად პოლონეთის ოლქების უფროსებს ნება ეძლევათ დაუყონებლივ დაიჭირონ ყოველი გერმანელი, რომელიც კი გერმანიის სასარგებლოთ აგიტაციას გასწევს.

**საალყო წესები საარის ოლქში.**

საარის ოლქის მცხოვრებთა მიერ საკუთარი პარლამენტის დაარსების მოთხოვნისა და მოხელეთა გაფიცვის გამო საფრანგეთის მთავრობამ საარის ოლქში საალყო წესები გამოაცხადა. მუშათა ყველა ორგანიზაციამ თანაგრძნობა გამოუცხადა მოხელეებს. საარის მთავრობა შავი ჯარის დახმარებითა და მოხელეთა მიმართ ცუდი მოპყრობით შეეცადა აეძულებინა გაფიცულები, რომ მათ მუშაობა დაეწყოთ. სხვათა შორის დააპატიმრეს „საარბრიუკერ დანდეს ცაიტუნგი"-ს ორი გამომცემელი.

**შაქარი.**

მიუხედავათ იმისა, რომ წელს შაქრის მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ შაქრის გატანა რამდენიმე წელიწადს მაინც შეუძლებელი იქნებაო.

**ანტანტის ძალადობის წინააღმდეგ.**

„ფორვერტსი" ბეჭდავს პროკლამაციას, რომელსაც ხელს აწერს: პროფ. კავშ. გენერალური ასოციაცია, დამოუკიდებელ სოციალისტთა და კომუნისტური პარტიები; პროკლამაციაში ნათქვამია: ხმები დიდის რეინის ნაპირებზე ანტანტის ჯარის გაძლიერებისა და აგრეთვე სამხედრო მასალისა და სურსათის მოზიდვის შესახებ. ამით ანტანტას სურს დაეხმაროს პოლონეთს იმ ომში, რომელიც მან თითონ დაიწყო რუსების წინააღმდეგ. ჯარისა და სამხედრო მასალის გერმანიის ტერიტორიაზე გადაგზავნა წარმოადგენს ძალადობას... (დასასრული არ მივიღია)

**ნეიტრალიტეტის გარშემო.**

პარიზიდან მიღებული ცნობა სავსებით უარყოფს იმას, თითქოს, საფრანგეთს მოეთხოვოს თავის ჯარების გერმანიის ტერიტორიაზე გადაყვანით გერმანიის ნეიტრალიტეტის დარღვევა. დღეს მუშათა ფედერაციამ და რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირმა გამოუშვა მოწოდება, სადაც მოუწოდებენ მცხოვრებლებს ნეიტრალიტეტის დაცვისაკენ. ზოგიერთმა გაზეთმა ამ მოწოდებას მთელი გვერდი უძღვნა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანია ნეიტრალიტეტით უფრო დაინტერესებული, ვიდრე სხვა რამეთი.

ფინანსთა მინისტრის განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: ჩვენი ლოზუნგი უნდა იყვეს. (გამოტოვებულია) ნეიტრალიტეტი. ჩვენ არ უნდა ამოვუდგეთ გვერდში პოლონეთის იმპერიალიზმს. პოლონეთის საიმპერიო არწივი დამარცხდა. ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ ჩვენი ტერიტორიით ვინმემ გადაიყვანოს ჯარი და საომარი მასალა გადაზიდოს. საფრანგეთის კაპიტალიზმის გასაძლიერებლად ჩვენ ვერ ჩავერევით ომში. თავისუფლების რიერაქი ჩვენთვის არ აღმობრწყინდება... (გამოტოვებულია)... დროშის ქვეშ. პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკს არავითარი აზრი არ აქვს, მაგრამ ჩვენ არა გვსურს არც ყოვლად ძლიერი კაპიტალიზმის მთავრობა.

**„ფორვერტსი" რუსეთისა და პოლონეთის შესახებ.**

„ფორვერტსი" სწერს: ყველაზე მეტად ჩვენ გვსურს ომების შეწყვეტა. ჩვენ გვინდა, რომ რუსის ხალხმა, რომელმაც განიცადა ამდენი ტანჯვა, აღადგინოს თავისი ეკონომიური ცხოვრება და გერმანიამ მასთან, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დარგში მჭიდრო კავშირი დაიკავოს. ჩვენ გვინდა აგრეთვე, რომ პოლონეთმა შექმნას თავისუფალი სახელმწიფო ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე.

**საფრანგეთის საწინააღმდეგო აგიტაცია.**

გერმანული პრესა განაგრძობს საფრანგეთის საწინააღმდეგო აგიტაციას. აღნიშნავენ დევნასა და სიმკაცრეს ფრანგებისას. რომელსაც ადგილი ქონდა საარის ოლქში. აღნიშნავენ აგრეთვე პოლონელების ბოროტმოქმედებას პოზნანში. მთავრობის თხოვნით მუშათა ფედერაციის საბჭომ გამოუშვა მოწოდება მუშებისადმი, იმის შესახებ, რომ დაიცვან წესიერება და სიწყნარე და ხელი არ შეუშალონ მოკავშირეთა ჯარების გერმანიის ტერიტორიით პოლონეთში გადაყვანას. ანტანტის რუსი და გერმანელი აგენტები ბერლინში დიდ მუშაობას ეწევიან. მდგომარეობა საათობით იცვლება.

**გერმანიის პოზიცია დროებითი ზავის შემდეგ.**

სხვა და სხვა უწყებიდან მიღებულ ცნობებით მდგომარეობა ასეთია: დროებითი ზავის გამოცხადების შემდეგ გერმანიამ ძლიერი სტრატეგიული პოზიციები დაიკავა. ნეიტრალურ სახელმწიფოს ერთმა დიპლომატმა სთქვა: გერმანია გამომწვევ პოზიციას იჭერს და მზათ არის აგრესიული მოქმედება დაიწყოსო.

**რეინგარდტის დასი ამერიკაში.**

ცნობილი ანტრეპრენიორი მაქს რეინგარდტი ფიქრობს თავისი დასი ბერლინიდან ამერიკაში გადაიყვანოს. ფიქრობენ, რომ მის მაგიერობას გასწევენ ჰერგარტ ჰაუპტმანი და ფელიქს ჰოლენდერი.

### ფრანგული ცნობები.

**ინგლისური პრესას ოპტიმიზმი და სინამდვილე.**

„ტან"-ი ინგლისის პრესის ოპტიმიზმის წინააღმდეგ ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი დამაკმაყოფილებელი არ იქნება. გაზ. „დება"-ს სიტყვით ბალშევიკების მთავრობა არ დაეთანხმა ინგლისის უკანასკნელ ნოტას პოლონეთთან 10 დღით დროებით ზავის შეკვრის შესახებ. „ტანი" ფიქრობს, რომ სამხედრო სიტუაცია შეიძლება პოლონეთის სასარგებლოთ შეიცვალოს.

**ხარაის ოლქში მომხდარ გაფიცვის გამო.**

მივიღეთ დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ საარის საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეების გაფიცვა ყოფილა... (გამოტოვებულია) გერმანულ კომპანიის მიერ. საარის ოლქის მთავრობა ფიქრობს სასამართლოს გადასცეს რეიხსტაგის ყოფილი დეპუტატი, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში, რომ მან გერმანელ აგიტატორებსა და საარის მოხელეებს შორის დამოკიდებულება გააბა.

**ძალდატანებითი ზომები.**

რადგან რუსეთის მთავრობამ უარი განაცხადა პოლონეთთან 10 დღის ვადით დროებით ზავის შეკვრაზე, გაისის კონფერენციამ გადაწყვიტა ძალდატანებითი ზომები იხმაროს.

ეს მოვლენა აიხსნება ყველა პარტიის მიერ გამოშვებულ მოწოდებით, რომ დაიცვან მთავრობა და ნეიტრალიტეტი. ამ მოწოდებაზე კომუნისტებს პირველ რიგში უწერიათ ხელი. საგარეო საქმეთა მინისტრი სიმონსი ლოიდ ჯორჯს მოელოდება ლიუცერნში, სადაც უნდა მოხდეს ინგლის-გერმანიის მოლაპარაკება. ჯერ არ არის გამორკვეული, თუ როდის მოხდება ეს შეხვედრა. ლიუცერნში მისვლამდი ლოიდ ჯორჯს კრასინთან კიდევ ექნება მოლაპარაკება. ბერლინში მყოფ ინგლისის მისიას შესაძლებლათ მიაჩნია ინგლის-გერმანიის შორის მოლაპარაკების შეწყვეტა.

**გერმანიის საზღვარზე.**

მოსკოვი.. რუსი გენერლები გერმანიის საზღვარზე ველარ აკავებენ ჯარს. ადვილი შესაძლებელია აღმოსავლეთ გერმანიაში დაიწყოს ცარცვა გლეჯა. უნგრეთიდან მოსალოდნელი საფრთხე თხოულობს რუსეთის ჯარის რეორგანიზაციას და მის წაყვანას გერმანიის საზღვრიდან.

### საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიულეტენი.

11 აგვისტო.

**რუსეთი და ინგლისი.**

მოსკოვი. 9 აგვისტო. (რადიო) რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ პარასკევს. 6 აგვისტოს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები ლონდონში დაჰპირდენ, თავის მთავრობას აუწყონ, რომ საბოლოო პასუხი უნდა გაეცეს კვირამდე, ე. ი. ბულონში ინგლის-საფრანგეთის კონფერენციის გახსნამდე.

„პტი პარიზიენ"-ის ცნობით ლოიდ ჯორჯმა კამენევთან ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სთხოვა მას დაედასტურებია, რომ წითელი ჯარი ვარშავაში არ შევა.

ბრიტანეთის კაბინეტი თანხმდება საბჭოთა რუსეთის წინადადებას, მაგრამ მილიერანის შეხვედრამდე საბოლოო გადაწყვეტილებას არ ღებულობს.

**ძალდატანება გერმანიაზე.**

ნაუენი, 8 აგვისტო (რადიო) საფრანგეთი სცდილობს ბავარიის სიუსტე[illegible] გამოიყენოს და აიძულოს, გაატარებინოს თავის მიწა-წყალზე ჯარი, იარაღი და სამხედრო მასალა პოლონეთისთვის. სამაგიეროთ პირდება არ მოითხოვოს ადგილობრივი მილიციის განიარაღება და სხვა დათმობებზეაც წავიდეს მის მიმართ. ეს მოთხოვნა იმდენათ კატეგორიულია, რომ ბავარიის მთავრობის მეთაური ბერლინში გაემგზავრა ცენტრალურ მთავრობასთან მოსახსენებლათ. საფრანგეთი იმუქრება რურის ოლქის დაპყრობით, თუ გერმანიამ არ დათმო ნეიტრალიტეტი და არ გაატარა ჯარი და იარაღი პოლონეთისთვის.

**ლიუდენდორფი და ბალშევიკები.**

ნაუენი, 8 აგვისტო (რადიო) ლიუდენდორფმა საუბარში განაცხადა, რომ თუ ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიისადმი თავისი პოლიტიკა არ შესცვალეს გერმანია იძულებული იქნება რუსეთს მიემხროს და რომ, თუმცა ის ბოლშევიკი არ არის, მაგრამ ფიქრობს, რომ ბოლშევიკები იხსნიან გერმანიას იმ სასოწარკვეთილებიდან, რომელმაც იგი მოიცვა.

**რევოლიუციონური მოძრაობა სპარსეთში.**

ბაქო. 10 აგვისტო. სპარსეთის კონტრრევოლიუციონური მთავრობა ციებცხელებიან დღეებს განიცდის, შაჰი უკანასკნელ უიმედო ძალღონეს ხმარობს ძალა-უფლების შესანარჩუნებლათ. მინისტრები გარბიან. სამხედრო სამინისტრომ რუსეთის საზღვარზე მეშედში ახალი ჯარები გაგზავნა, რადგანაც იქ მყოფი ჯარები საიმედო არ აღმოჩნდა. შაჰის ტახტის დასაცავათ ინგლისელებმა თოფები და ტყვიები გამოგზავნეს. ყველგან ამბოხებებია. რევოლიუციონური აჯანყებანი და მთავრობის ჯარებზე თავდასხმები გრძელდება. აჯანყდნენ მთიელი თურები. მოვიდა ცნობები ქურთების თავდასხმის შესახებ. მეჯალსა და თეირანს შორის ტელეგრაფით ურთიერთობა შეწყვეტილია. ქ. მეჯილს აჯანყებულთა რაზმები არტყია გარს; აჯანყდენ აგრეთვე კალხალები, რომელთა წინააღმდეგ თავისი რაზმით გაილაშქრა შაჰზე სულთანმა. კალხალებმა უკან დაიხიეს და რამდენიმე სოფელი დასწვეს. სპარსეთის ადერბეიჯანის ყოველ კუთხეში შაჰის მთავრობის მოწინააღმდეგე ტომები აჯანყდენ.

**ჯევადის მაზრაში.**

ბაქო, 5 აგვისტო. ჯევადის მაზრაში უკანასკნელი ამბების დროს სოფლები სრულიად განადგურებულა. მცხოვრებნი ცის ქვეშ ცხოვრობენ და უკიდურესათ სჭირდებათ სასოფლო სამეურნეო ინვენტარი და ბინები. ყარაბაღში მოსავალი ყველგან კარგია. დიდი ნაკლებობაა მუშა ხელის.

**პროფეს. კავშირების ყრილობა.**

ბაქო, 10 აგვისტო. 25 აგვისტოს მოწვეულია ადერბეიჯანის პროფეს. კავშირების ყრილობა.

**სამხედრო ცნობა, 10 აგვისტო.**

მოსკოვი, 11 აგვისტო (რადიო.) ნოვოგეორგიევსკის მიმართულებით მკაცრი ბრძოლებით მივაღწიეთ მაეფის აღმოსავლეთით 10 ვერსზე მდებარე პუნქტებს.

მდ. ბუგის ორივე მხარეზე მტრის წინააღმდეგობას სძლევს და დასავლეთისკენ წინსვლას განაგრძობს. მდ. ბუგის დასავლეთით 13—20 ვერსტის მანძილზე ჩვენმა ჯარმა ბრძოლით რამდენიმე პუნქტი აიღო.

9 აგვისტოს ბრძოლით ავიღეთ ქ. ბელა. სწარმოებს ბრძოლა ქ. ვლოდავის ასაღებათ.

ხოლმ-ს რაიონში ბუგი გადავლახეთ

---

## აკაკი ჩხენკელის სიტყვა

წარმოთქმული დამფუძნებელ კრებაში 7 აგვისტოს.

მოქალაქენო! ეს პირველად არის, რომ ჩვენი საკანონმდებლო წარმომადგენლობა არჩევს ხარჯთაღრიცხვას. საერთო შთაბეჭდილება ჩემი ზოგად დებატებიდან არ შემიძლია ვთქვა უარყოფითი იყოს, პირიქით, ის არის დადებითი. ჩვენ ვცხოვრობთ პრეცედენტებით, ვქმნით ტრადიციებს, ამას აქვს დიდი მნიშვნელობა.

სამწუხაროდ მარცხენა მხრიდან, ცოტა არ იყოს, აქვეითებდნენ დებატებს, ასე ვთქვათ, სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ხელს არ უწყობენ მაინცდამაინც, თუმცა მათი მხრიდაც იყო ზოგიერთი სერიოზული მოსაზრებანი წამოყენებული. დეპ. შენგელაიას დღევანდელ გამოსვლაში, მაგალითად, პირადული მომენტი სჭარბობდა, რაიც დებატების დაქვეითებას მოასწავებს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. შეეხო გვარდიას და ისიც ისე, რომ ჩვენ ყველასათვის მიუღებელი უნდა იყოს. დიდათ სამწუხაროა, როცა გვარდიისისეთი სახელი უწოდა მან, რომელიც მას არ დაუმსახურებია. მე ისე პატივს ვცემ ამ ტრიბუნას, რომ ამ სიტყვებს არ გავიმეორებ. ჩვენი გვარდია დარაჯად უდგას ჩვენს შინაურ წყობილებას, ჩვენს დამოუკიდებლობას, მას უხდება ანგარიში გაუწიოს ყოველგვარ გარემოებას, ამ გვარად, თუ მას თქვენ ნათლავთ ასეთი სახელით, ეს ფრიად სამწუხაროა. ჩვენ ვიცით როლი სახალხო გვარდიისა ჩვენის ქვეყნის დაცვაში, თავისუფლების განმტკიცებაში, რევოლიუციურ მონაპოვართა შენახვაში. კიდევ გუშინწინ სულ დიდი ხანი არ არის, სახალხო გვარდიამ თითქმის მარტო თავის ბეჭებზე გადაიტანა ის დიდი საშიშროება, რომელიც მოგველოდა აღმოსავლეთით.

ოპოზიციას ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვუსმენთ ყოველთვის და ეს იმიტომ კი არა, თითქოს მას ბევრი ახალი რამის თქმა შეეძლოს, არამედ იმიტომ, რომ ოპოზიციის ქერქში ვიყავით ჩვენ თვითონ დიდი ხანი და გვესმის მისი მდგომარეობა. პირადმა მომენტმა ისე არ უნდა გაიტაცოს ოპოზიცია, რომ მსმენელებმა შთაბეჭდილება მიიღონ თითქოს ოპოზიცია მარტო ოპოზიციისათვის არსებობს და სხვა არაფერი. ასე გამოდის ხშირად სამწუხაროდ.

მე შემიძლია გადავიდე სერიოზულ საკითხზე, რომელიც წამოაყენა დეპ. შენგელაიამ. მან განაცხადა, რომ ის პერმანენტულ რევოლიუციის მომხრეა და მოწმედ კაუცკი დაასახელა. ეს ალბად გაუგებრობიდან გამომდინარეობს, შეიძლება ორატორი პერმანენტულ რევოლიუციაში სამოქალაქო ომს გულისხმობდა, რომელიც მძინვარებს რუსეთში, აზერბეიჯანში,—ეს სხვა საქმეა. მაგრამ, თუ პერმანენტულ რევოლიუციას ეძახით იმ შემოქმედებით მუშაობას, რომელსაც მუშათა კლასი ეწევა სახელმწიფო ძალაუფლების თავის ხელში გადასვლის დროს, მაშინ ერთგვარი გაუგებრობაა დასახელება კაუცკისა. როგორ უცქერის ჩვენსა და ბალშევიკურ რუსეთის მუშაობას, კაუცკიმ თავისი ნაწერებით დაამტკიცა არა ერთხელ. არ მინდა მოვიყვანო ბევრი საბუთები, არც მინდა ვიმოწმო კაუცკი, რომელთანაც არა ერთხელ მსმენია ლაპარაკი დავასახელებ მხოლოდ კაუცკის ერთ პატარა წერილს, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა ქართულად და რუსულად. ამ წერილში კაუცკი მხარს უჭერს გერმანიის დამოუკიდებელთა და მეუმრავლესთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიების მიერ მთავრობის შედგენას და ამისათვის ის უსახავს მათ პირველ ნაბიჯებს, რომელიც მათ უნდა გადადგან. ეს არის სამგვარი ზომა: 1) ეგრ. წოდ. იუნკერების მამულების კონფისკაცია, 2) ტყეთა სახელმწიფოს ხელში გადასვლა და 3) მთა-მადნეულობის სოციალიზაცია. ახლა დახედეთ პატარა სახელმწიფოს, რომელიც უეჭველად ჩამორჩება გერმანიას, საქართველოს, სადაც მიუხედავათ ამისა, კაუცკის ეს მოთხოვნილებანი განხორციელებულია: კონფისკაცია მამულებისა, ტყეებისა და მადნეულობის სახელმწიფოს ხელში გადასვლა.

კაუცკის აქვს მხედველობაში საკუთრების ნაციონალიზაცია; რაც შეეხება წარმოების სოციალიზაციას, ის უნდა მოხდეს იმ დარგში, რომელიც მომწიფებულია ამისთვის. ზოგიერთ დავალიანებულ და აწეწილ დარგების სახელმწიფოს ხელში გადასვლა მოასწავებს სახელმწიფოსთვის არა მოგებას, არამედ—ზარალს. როცა გერმანიაში გახლდით რევოლიუციის დასაწყისში, სწორედ ასეთი ფირმები დიდის ენერგიით მუშაობდენ, რომ სახელმწიფოს ხელში გადასულიყვნენ. უბრალო მაგალითი ჩვენში არის კახეთის რკინის გზა, რომელიც თავად-აზნაურობამ გადმოგვცა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, მაგრამ სახელმწიფო დღესაც უარზეა ხელი მოჰკიდოს მას, ვინაიდან შესაძლოა ეს საზარალოთ გამოვიდეს მისთვის. ჩვენ ვიცით, მეორეს მხრით, რა მდგომარეობაში იყო ჩვენი მარგანეცის საქმე, რუსეთის მმართველობის დროს. ჩვენს მარგანეცს, როგორც თვისებით და რაოდენობით, ისე ბაზართან სიახლოვით, პირველი ადგილის დაჭერა შეეძლო. მაგრამ სინამდვილეში მას უკანასკნელი ადგილი ეჭირა. რატომ? იმიტომ რომ რუსეთის მთავრობა სისტემატიურად წინ ეღობებოდა მარგანეცის წარმოების და განსაკუთრებით მის გასაღების საქმეს. მართალია, ამ დარგის წარმოების სოციალიზაციისათვის ჯერ კიდევ არაა ნიადაგი მზად, მაგრამ დიდი ნაბიჯია წადგმული წინ ამ მიმართულებით: ეს გახლავთ მარგანეცის ექსპორტის სრული გაერთიანება და სახელმწიფოს სასტიკი კონტროლი. ამას დაუმატეთ საზოგადოთ მთა მადნეულობის ნაციონალიზაცია ჩვენში. ექსპორტის გაერთიანება უთუოთ მოუპოვებს ჩვენს მარგანეცს შესაფერ ადგილს საერთაშორისო ბაზარზე, რაც თავის მხრით ხელს შეუწყობს მის წარმოების აყვავებას და აქედან სოციალიზაციას გზას გაუკაფავს. ისედაც ათეულ წლობით ვერ მოხერხდა რუსეთის მმართველობის დროს—ექსპორტის გაერთიანება,—ჩვენმა რესპუბლიკამ ორ წელში განახორციელა ჭიათურის მახლობლად არის ტყვიბული ქვა-ნახშირის წარმოება. იქ მოხდა არა მარტო მთამადნის, არამედ წარმოების სახელმწიფოზე გადაცემაც.

ყველა ეს მოასწავებს იმას, რომ ჩვენ არ გვაქვს შაბლონიური ეკონომიური პოლიტიკა. ჩვენ ცოტა რამ გვქონდა რუსეთთან შედარებით. გაიხსენეთ ქოვილების წარმოება მოსკოვ ვლადიმირის რაიონში, მეტალურგია პეტროგრადის რაიონში, დონის, ურალის მთამადნეულობა და სხ. რა მდგომარეობაშია ყველა ეს დღეს? დანგრეულია, მილეწილმოლეწილი, შეჩერებულია თითქმის მთლათ. ჩვენ არ ვყავდით რუსეთის ეკონომიურ პოლიტიკის წყალობით, რომელიც მრეწველობას ცენტრში ანვითარებდა, ისეთ მდგომარეობაში, რომ გაგვიკვირვებია განათლებული ქვეყნები. პირიქით ჩვენი გეზი მიმართულია იქითკენ, რომ ფეხდაფეხ ვიაროთ ამ ქვეყნებთან, განვახორციელოთ ის, რასაც იქაური სოციალისტური მოძრაობა შესძლებს. მაგრამ ბევრ რამეს ისინიც ისწავლიან ჩვენგან. მარტო ის გარემოება, ბატონებო, რომ აქამდის შევინარჩუნეთ ერთი მთლიანი რევოლიუციური ფრონტი, მართლაც მისაბაძია დასავლეთ ევროპისათვის. და ის, რაც ბ. შენგელაიამ სთქვა, რომ ხშირად მარჯვენა ფრთა იძულებულია მხარი დაგვიჭიროს, ეს მოასწავებს არა ჩვენს სისუსტეს, არამედ—სიძლიერეს.

არის 2 მეთოდი რევოლიუციურ ბრძოლისა—ბალშევიკური და მენშევიკური, თქვენ რომელ მეთოდს უარყოფთ, რომელს უჭერთ მხარს? (შენგელაია: ორივეს უარვყოფთ) მაშინ დაგვისახელეთ მესამე მეთოდი და მაშინ ვიბაასოთ. ჩვენ ამ ტრიბუნაზე ხედავდით მუშა დეპუტატს ბერიშვილს, სამწუხაროა, რომ ოპოზიციამ ყურადღებით არ მოისმინა ის, თორემ ბევრს ისწავლიდა მისგან. ჩვენ გვქონდა ჩვეულებად მუშა დეპუტატს მეტი ყურადღებით მოსმენა, ამაში ჩვენ არასოდეს არ ვაგებდით. (ასათიანი: კამათი ხომ შეწყვიტეთ?). ჩვენ არ გვავიწყდება კლასობრივი ინტერესი, მუშათა მოთხოვნილება უნდა დავაკმაყოფილოთ, მაგრამ არ გვავიწყდება ისიც, რომ წარმოება მტკიცე და სალ დონეზე უნდა იდგეს, რათა მეტი ნაყოფი გამოაღებინოთ მას. თქვენს წინაშე იდგა მუშა-მოქალაქე, რომელიც ამას გიხსნიდათ, გიმტკიცებდათ. ჩვენი მუშა გრძნობს პასუხისმგებლობას არა მარტო თავის კლასის, არამედ სახელმწიფოს წინაშეც. ამას ვერ ხედავთ თქვენ რუსეთში.

მარჯვენა სექტორმა ბ. კედიას პირით უსაყვედურა მუშებს, ისინი არ მუშაობენ იმდენს, რამდენსაც რევოლიუციამდე მუშაობდნენო, შრომის ნაყოფიერებამ იკლოვო და სხ. მართალია, საზოგადოთ შრომის ნაყოფიერებამ ამ ომის და რევოლიუციის შემდეგ ყველა ქვეყნებში იკლო, უეჭველია ჩვენშიაც უნდა დაეკლო მას, მაგრამ იგივე მუშა დეპუტატი ბერიშვილი შეეკითხა ბ. კედიას: რაში გამოიხატება თქვენი მუშაობაო. დღეს ჩვენი, ასე ვთქვათ, ნორჩი ბურჟუაზია წარმოებას არ ეტანება, ის სპეკულიანტობს და ეკონომიურ ფინანსიურ კრიზისს კიდევ უფრო ამწვავებს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რა მემკვიდრეობა გადმოგვცა ჩვენ რუსეთმა.

სამრეწველო კაპიტალი ჩვენ არ გვქონია თითქმის, ჩვენში მუშაობდა მხოლოდ სავაჭრო კაპიტალი, მსხვილი წარმოება თითქმის არ არსებობდა, იყო მხოლოდ შინა-მრეწველობა, რომელმაც ბლოკადის დროს დიდი სამსახური გაგვიწია. აქ იყო ნედლი მასალა, მაგალ. ბამბა, მატყლი, პარკი, მარგანეცი, სპილენძი და სხ. მაგრამ, მათი დამუშავება აქ არ ხდებოდა, ამას ხელს უშლიდა რუსეთის მთავრობა, ყველაფერს მიეზიდებოდნენ ცენტრისაკენ იქაურ მრეწველობის განსავითარებლათ. მაშასადამე, ამ მხრივ მემკვიდრეობა თითქმის არარაობა იყო, ჩვენი მრეწველობა დაბალ საფეხურზეა. ამიტომ ჩვენ ვერ მოვთხოვდით ჩვენს ბურჟუაზიას ამ ცოტა ხანში აეყვავებია იგი. ყოველ შემთხვევაში, ის არ აკეთებს იმასაც, რისი შემძლეც არის, ეტანება ადვილ საქმეს—სპეკულიაციას, წარმოებას კი გაურბის.

რასაკვირველია, თავი და თავი ჩვენი მიზანი არის წარმოების განვითარება, მრეწველობის გაჩაღება. ჩვენ უნდა დავიცვათ ძირითადი ეკონომიური კანონი ნაკლები შრომით მეტი ნაყოფის მიღება, რაიც მოასწავებს ტეხნიკის განვითარებას: ჩვენი მთავარი გეზი საზოგადოებრივი მრეწველობის განვითარებაა მრეწველობას უნდა ჩასჭიდოს მტკიცედ ხელი სახელმწიფომ, მუნიციპალიტეტმა, ერობამ. არის ბევრი ისეთი დარგი, რომლის მიმართ ამ საზოგადოებრივმა ორგანოებმა შეიძლება არ გაუწიონ ისეთი ანგარიში პირდაპირ მოგებას. ასეთი დარგებია საერთო სარგებლობის წარმოებანი, მაგ.: რკინის გზები, ტრამვაი, კანალიზაცია, სინათლე, გათბობა და ბევრი სხვა. მაგრამ, როცა საზოგადოებრივი ორგანო ეწევა ისეთ წარმოებას, რომელიც ამზადებს ბაზარზე გასატან საქონელს, აქ უთუოდ დაცულ უნდა იქნეს ის ეკონომიური კანონი: რომელზედაც მოგახსენეთ: ნაკლები შრომით მეტი ნაყოფი. ამ შემთხვევაში მოგება საჭიროა, რომ წარმოება შეუჩერებლივ ვითარდებოდეს, რომ ტეხნიკამ მაღალ საფეხურს მიაღწიოს. ჩვენ არ ვზღუდავთ კერძო ინიციატივასაც, რამდენათაც ის ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას, ესეც თავის თავად ცხადია. მაგრამ მარჯვენა ფრთაც დამეთანხმება, იმედია იმაში, რომ წავიდა ის დრო, როცა სახელმწიფო და თვითმართველობა არ ერეოდა წარმოების სფეროში Laissiez-faire, laissez-passer-ს ხანამ დიდი ხანია განვლო. არ არის ეხლა არც ერთი სახელმწიფო, სადაც წარმოების ნორმალური განვითარება შეიძლებოდეს საჯარო-უფლებრივ ორგანოების ჩაურევლათ. მე ვამბობ უმთავრესათ ევროპაზე, ამერიკა ჯერ კიდევ რამდენათმე გამონაკლის წარმოადგენს, თუმცა საზოგადოებრივ

და ბრძოლას ვაწარმოებთ ამ მდინარის დასავლეთის ნაპირზე რკინის გზასთან.

ქ. ბროდის ჩრდილო დასავლეთით პოლონელები დაბა რაზენოვისკენ უკან ვაქციეთ. მდ. სერეტზე მთელ ფრონტზე ბრძოლა სწარმოებს, უპირატესობა ჩვენ მხარეზეა.

## საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

11 აგვისტო.

**ჩამორთმეული გემების შესყიდვა.**

**ბერლინი.** ივლისის 22. „ფიგარო" იუწყება: ამ უკანასკნელ დღეებში დაჟინებით ხმები დადის, რომ ინგლისის სახლვაო კომპანიას განზრახული აქვს მიჰყიდოს გერმანიის მთავრობას ზავის პირობების ძალით მისგან ჩამორთმეულ გემების ნაწილი. ამ ცნობას ადასტურებენ ჰამბურგის ავტორიტეტულ წრეებშიც. ამ საკითხზე მოხდა თათბირი ლონდონში გრაფ ლიუკოვიჩთან. ინგლისის მთავრობა ამ საქმეს თანაგრძნობით შეხვდა. განზრახულია გემები განსაზღვრულ ფასში მიჰყიდონ პირდაპირ გერმანიის მთავრობას იმ პირობით, რომ ხელფერი ფული გერმანიამ ხუთი წლის განმავლობაში გადაიხადოს.

**მოკავშირეებს არ ჰქონიათ გარკვეული პოლიტიკ.**

**პარიზი.** ივლისის 27. „ჟურნალი დედება" პოლონეთის მოკავშირეებსა და ბოლშევიკურ რუსეთს უძღვნის ვრცელ წერილს. მოკავშირეებმო,—სწერს ავტორი,—ახლა იმკიან რუსეთის საკითხში დაშვებულს თავის შეცდომების ნაყოფსო. მოკავშირეებს არ ჰქონდათ გარკვეული პოლიტიკა და ერთი მათი პოლიტიკური მოქმედება მეორეს ეწინააღმდეგებოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ მოკავშირეებმა ყოველთვის არ იციოდნენ, რა სურდათ მათ. ეს შეცდომები ჩვენ ძვირად დაგვიჯდება. საფრანგეთს ამ ხანებში გარკვეული და სწორი ხაზი ქონდა. უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ პოლონეთის განადგურება ევროპის მშვიდობიანობას დიდ საფრთხეს დაუმზადებსო.

**ინგლისი საბჭოთა მთავრობას არ სცნობს.**

**ლონდონი.** აგვისტოს 1. ინგლისური პრესა იუწყება: თემთა პალატაში საბჭოთა რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულების განახლებისა და წითელი ჯარის პოლონეთზე თავდასხმის შეჩერების შესახებ შეტანილ შეკითხვაზე ბონარლოუმ უპასუხა: საბჭოთა რუსეთმა დიდი ბრიტანეთის პირობები მიიღო და ახალმა მოლაპარაკებამ დამაკმაყოფილებელ შედეგს უნდა მიაღწიოს. ბრიტანეთმა წინადადება მისცა რუსეთს დაუყონებლივ ჩამოეგდო დროებითი ზავი პოლონეთთან და გადაესინჯა მას პოლონეთისა და მის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან დადებული ზავის პირობები. ზავის ამ პირობების დაწვრილებით გამოქვეყნება ჯერ არ შეიძლება. შეკითხვაზე,—სცნობს, თუ არა ინგლისი საბჭოთა მთავრობას, ბონარ ლოუმ უპასუხა: არავითარ შემთხვევაშიო.

**ოსმალეთს უნდა ეშინოდეს ევროპიდან განდევნის.**

**სტამბოლი.** აგვისტოს 4 „ალემდარი" ეხება ოსმალეთის მდგომარეობას და აღნიშნავს: ოსმალეთს უნდა ეშინოდეს ევროპიდან განდევნისა. ეს საფრთხე უნდა შევიგნოთ მთელი თავისი მნიშვნელობით, უნდა მივიღოთ მხედველობაში ანატოლიის აჯანყებით გამოწვეული მხარის ანარქიული მდგომარეობა. „იგდამიც" დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ საფრთხეს და სწერს: „ოსმალეთმა ორ ბოროტებისაგან უნდა აირჩიოს ერთი, უფრო მცირე და ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დაჰკარგოს სტამბოლი".

**მოსკოვს გულწრფელათა ჰსურს.**

**ბერლინი.** აგვისტოს 1. ადგილობრივ პრესის ცნობით ჩიჩერინი რადიოთი აცნობებს ლოიდ ჯორჯს, რომ მოსკოვს გულწრფელად სურს შეუთანხმდეს ინგლისს გენ. ვრანგელის შესახებ. მოსკოვი მზადაა დასთანხმდეს ვრანგელის ჯარის კაპიტულაციაზე და ჯარს შეუნარჩუნოს სიცოცხლე.

**უნგრეთი ბოლშევიკების წინააღმდეგ.**

**ბუდაპეშტი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტელეგრამა ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებს ოფიციალური წინადადებით მიმართა: თუ საჭირო იქნება ბოლშევიკების წინააღმდეგ პოლონეთს უნგრეთი სამხედრო დახმარებას აღმოუჩენსო.

**გერმანიის ნეიტრალიტეტი.**

**ბერლინი.** აგვისტოს 1. სიმონსმა პარლამენტის კომისიაში წარმოთქმულ სიტყვაში რუსეთ-პოლონეთის საქმეების შესახებ განაცხადა: რუსეთ-პოლონეთის ყოველგვარ დამოკიდებულებაში გერმანია მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

**ხალხთა ლიგა.**

**პარიზი.** აგვისტოს 1. ხალხთა ლიგის საბჭო სინ-სებასტიანში შეიკრიბება. მუშაობის პროგრამა შემუშავებულია 1) მუდმივი საერთაშორისო სანიტარულ ორგანოს მოწყობა, 2) განხილვა პროექტისა საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, 3) ხალხთა ლიგის პასუხისმგებლობა და სხ.

# ახალი ამბები

**მუშათა დელეგაცია.** აგვისტოს 10 მუშათა სასახლეში შესდგა საბჭოთა რუსეთში წასასვლელ დელეგაციის წევრთა პირველი კრება. დაესწრო 9 დელეგატი და ცენტრ. პროფ. კავშ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრები. ამ სხდომაზე აირჩიეს თავმჯდომარე და მ სი ამხანაგი. გადაწყდა დელეგაციის პრეზიდიუმის პირველი სხდომა შესდგეს აგვისტოს 11, მეორე 12. გადაწყდა წინადადება მიეცეს დელეგაციის ყველა წევრს წასასვლელად მომზადებისა.

**მასალები დელეგაციისათვის.** შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა მუშათა მაგიდის რწმუნებულს დელეგაციისათვის საჭირო მასალები დაამზადოს. მუშათა მაგიდამ, რაც შეიძლება მოკლე ხანში, უნდა წარუდგინოს შემდეგი ცნობები თავის მუშების შესახებ: 1) იმ დაწესებულებათა და წარმოებათა რაოდენობა, რომელთაც მომარაგების ფონდში ფული შეაქვთ. 2) შეტანილი ფულის ჯამი. 3) იმ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ მომარაგების ფონდით 4) როგორი და რამდენი პროდუქტი დაურიგდათ მუშებს მომარაგების ფონდიდან 5) რა ფასებში იძლევიან საქონელს 6) რამდენი მანეთის საქონელია გაცემული 7) ამ საქონელთა თვითღირებულება და 8) ცნობები, რომელიც მუშათა მაგიდას საჭიროთ მიაჩნია მაგიდის მოქმედების დასახასიათებლად.

**ბათომში მყოფმა ინგლისის კონსულმა** ბ-ნმა კოლისმა მიმართა ფინანსთა სამინისტროს თხოვნით, რათა ბრიტანეთის წითელი ჯვრის სომხ-ლტოლვილთა დამხმარე ფონდისა და სხვათა მიერ გამოგზავნილი საქონელი განთავისუფლონ საბაჟო გადასახადისაგან, რადგანაც ეს საქონელი გასაყიდათ არაა დანიშნული, არამედ სომხეთში მყოფ ღარიბთა დასახმარებლად (დ. ს.)

**პურის ფასი.** სასურსათო განყოფილების პურის კანტორის ცნობით 10 აგვისტოს ქერის საშუალო ფასი 535—550 მან. იყო, ფუთი პური—1400 მან. კანტორის გადაწყვეტილებას გამყიდველი და მყიდველიც ხმა ამოუღებლივ იღებენ. კანტორა ყოველგვარ ზომას [illegible]

...რისა და 100 ფუთი საპონი შესწირეს. სომხეთის ეროვნული საბჭო შუამდგომლობს განთავისუფლონ ეს საქონელი საბაჟო გადასახადიდან.

**ჩეხო სლოვაკიის რესპუბლიკის** ბათომელ კონსულმა შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე, რომ ბათომის ნავთსადგურში გადასცენ მას განსაზღვრულ პირობით რამდენიმე საწყობი და ან ადგილი საწყობის ასაშენებლად.

**ყაჩაღობა რაჭაში.** ქ. ხონის გამგეობის წევრი დ. ბააზოვი წარუდგა შინ. საქ. მინისტრს და გააცნო ავაზაკობის გამო ტყიბულის და საჩხერის გზებზე მგზავრებისთვის შექმნილი მძიმე მდგომარეობა. ბოლო ხანს ძალიან გახშირდა ამ გზებზე თავდასხმა—ცარცვა-გლეჯა. მგზავრებს ართმევენ ფულს, საქონელს, ცხენებს და სხ. იყო რამდენიმე შემთხვევა მგზავრების დაჭრისა. ბააზოვმა სთხოვა მინისტრს მიღებულ იქნას ღონისძიებანი ავაზაკობის შესაწყვეტათ და კერძოთ, შეიარაღებული მცველები გააყოლონ სამგზავრო ავტომობილებს. მინისტრი დაპირდა სათანადო ზომების მიღებას.

[illegible] ...ძალვა. ჯანმრთელობის დეპარტამენტმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ყოველგვარი მედიკამენტების გატანის აკრძალვის შესახებ. (დ. ს.)

**სამხედრო სამინისტროს კულტურა განათლების სექცია** უჩვენებს ხუთშაბათს მარიამობისთვის 12 სახალხო კინო-თეატრში პოზიციიდან დაბრუნებულს მე-5 ათასეულს ბათომის საზეიმო ჩაბარებას.

**მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოებამ** აცნობა სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რომ თფილისის თამბაქოს მეფაბრიკეთა საზოგადოებას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი: 1) უდიდეს ფასებსა და საბანდეროლო გადასახადის მაგივრად უნდა დაწესდეს თუთუნისა და პაპიროსზე სხვა და სხვა რაოდენობის საფუთო გადასახადი, 2) საშუალო საფუთო აქციზი გამოდის 3648—4690 მ. მეთამბაქოეებს კი საკმარისად მიაჩნიათ ფუთზე 3960 მ. აქციზის დაწესება. 3) მეფაბრიკეებს უნდა მიენიჭოთ თამბაქოს თავისუფლად ყიდვის უფლება.

**თავდაცვის საბჭოს დადგენილებით** როგორც ქალაქის გამგეობა იუწყება 1885—1899 წელ. დაბადებულ მოლაშქრე და სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებისადმი დახმარების მიცემა შეწყდა. დახმარება მიეცემა ეხლახან გაწვეულ 1896 წელში დაბადებულ ჯარისკაცთა ოჯახებს.

**საგანგებო ბატალიონის კულტურულ-განმანათ.** სექცია აწყობს ბატალიონში იაფფასიან სასადილოს და ბუფეტს, სადაც გვარდიელებს მიაწვდიან ყოველგვარ საჭმელ-სასმელს დაკლებულ ფასებში. ამასთან ერთად, სექცია აწყობს სასადილოში სხვადასხვა გონიერ გასართობებს გვარდიელებისათვის.

— სექციის მორიგი სხდომები იმართება ორშაბათობით. სექციაში შედის 21 კაცი. ის იყოფა რამდენიმე კომისიათ დრამატიული, სკოლის, სალექციო და სამკითხველოს, სიმღერების მომწყობი, საფინანსო, თეატრის სააღმშენებლო, სასადილო-სახელოსნოს და სხ. თვითეული კომისია სხდომაზე აკეთებს მოხსენებას, თუ რა გააკეთა მან თავის დარგში ერთი კვირის განმავლობაში. უკანასკნელ ხანებში სექციის მუშაობა თანდათან ფართოვდება.

**დავკარგე.** საგანგებო ბატალიონის გვარდიელმა იაკობ კუპატაძემ საქ. ს. დ. მ. პარტიის საწევრო წიგნაკი № 137, სახალხო გვარდიელის უბის წიგნაკი. მეტრიკული მოწმობა, საგანგებო ბატალიონიდან მოცემული მოწმობა, რევოლვერის მოწმობა, რომლებიც ამიერიდან უნდა ჩაითვალოს გაუქმებულათ.

**შეცდომის გასწორება.** დეპეშებში „ბოლშევიკურ ცნობების" რიცხვში მოთავსებულ სამი დეპეშას, „პოლონეთის გარშემო" და სხ. უნდა ეწეროს—ცნობები ლიონიდან.

ნეკროლოგში სწერია: „93 ქცევა სასკოლო მიწა შესწირა აჭარაში" უნდა იყოს: „93 ქცევა სასკოლო მიწა შესწირა აკეთში".

**კრებები.**

დღეს, 12 აგვისტოს საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს 12 აგვისტოს საღ. 5 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა (კახეთის ქ. № 1).

# სომხეთი

**სამხედრო ცნობა.**

ერევანი, 9 აგვისტო.

6 აგვისტოს ყარაკილისის რაიონში 150 თათარი ჯეილის მიდამოებში ჩვენ პოზიციას დაეცა. ჩვენებმა ახლო მოუშვეს მტერი და შემდეგ მჯაცრი იერიშით საზღვარს იქით 10 ვერსის მანძილზე გადვენეს და 9 კაცი მოკლული დაატოვებინეს. ჩვენ დანაკლისი არ გვგონია: რუსი წითელარმიელები თათრებს აძლევენ საქონელს და ეშელონებით გზავნიან რუსეთში.

კარავანსარაის მიმართულებით მტერმა დასტოვა 6 აგვისტოს აღებული სოფ. აქსიბარა, სოფ. საფლუს რაიონში თათრები დაეცნენ ჩვენ მთიბავებს. შამშადინში და ყარა-კილისის ხეობაში სიმწყნარეა.

**„დაშნაკცუტიუნის" მოწოდება.**

„დაშნაკცუტიუნ"-ის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საერთაშორისო პროლეტარიატს და მთელი ქვეყნის ყველა სოციალისტურ პარტიებს დაუგზავნა მიმართვა საბჭოთა ჯარების სომხეთში შესვლის გამო. მიმართვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის კომუნისტები და ოსმალეთის ნაციონალისტები ქემალ ფაშას მეთაურობით ატყუებენ მთელ ქვეყანას, როდესაც ისინი აცხადებენ, რომ მათი მიზანია აღმოსავლეთის დამონებულ ერთვნებათა განთავისუფლება. ნამდვილათ კი, სწორედ ამათ განადგურებას ისახავენ მიზნათ აღმოსავლეთში თავის გასაბატონებლათ. დასასრულ მიმართვაში პროტესტია გაცხადებული იმ აღმაშფოთებელ მისტიფიკაციის გამო, რომელსაც ახდენენ რუსეთის და ოსმალეთის სოციალისტურ ნიღაბ ჩამოფარებული რეაქციონერები აღმოსავლეთის ხალხთა და მათ შორის დევნილ სომხის ერის მოსასპობათ. მიმართვით დაშნაკცუტიუნი მოუწოდებს საერთაშორისო პროლეტარიატს და ყველა სოციალისტურ პარტიებს ყოველი საშუალებით დაეხმარნენ სომხეთის დემოკრატიას, რომელიც სისხლისგან იცლება ლენინის და მუსტაფა ქემალის აგენტების შეთქმულებას ბრძოლაში, რომლის მიზანია სომხეთის და სომხის ერის ფიზიკური არსებობის მოსპობა.

# მოქალაქენო!

ქალაქში ხოლერამ უკვე იჩინა თავი. სამი გახდა ავათ; ორი მათგანი გარდაიცვალა; სამივე ადგილობრივნი არიან,—სხვადასხვა უბნის მცხოვრებნი. ეს უკანასკნელი გარემოება, არსებული ცხელი ამინდები და ქალაქის ანტისანიტარული მდგომარეობა კარგს არას გვიქადის, შესაძლებელია ხოლერამ ფართო ხასიათი მიიღოს. ამიტომ ყოველ მოქალაქეს მართებს დიდი ყურადღებით და გაორკეცებული ენერგიით დაიცვას სათანადო სანიტარული წესები თავიანთ საცხოვრებელ ბინაზედ. ეს მოვალეობაცაა და ამავე დროს ერთად ერთი საშუალებაა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავი დაიცვას ამ საშინელ სენისაგან.

უნდა გვახსოვდეს, რომ ხოლერისაგან თავის დაცვა არც ისე ძნელია, მხოლოდ ავათ თუ გახდი—გადარჩენა კი მეტად საეჭვოა.

უდავოა, რომ ხოლერით ავათ გახდება ადამიანი მხოლოდ მაშინ, თუ მას საჭმელთან და სასმელთან ერთად ჩაყვება ხოლერის გამჩენი სნება. ეს კი შეიძლება მოხდეს, თუ კი ხოლერით ავათმყოფის მოვლის დროს გასვრილი ხელით ან გასვრილ ჭურჭელზედ მიიღეთ საჭმელი ან სასმელი; ან დალიეთ წყალი, რომელშიაც ხოლერის სნება უკვე იმყოფება; ან ხოლერიანი ავათმყოფის განავლით ან პირიდან ნაღებით გასვრილი ბუზების მიერ დასვრილი საჭმელ-სასმელი მიიღეთ.

მაშასადამე, ზომებიც ამის და გვარად უნდა იქმნეს მიღებული:

ა) ხოლერით ავათმყოფთან ნუ მიხვალთ; თუ აუცილებლად მოგიხდება მასთან ყოფნა, ეცადეთ არ გაისვაროთ. უკიდურესი სისუფთავე დაიცავით.

ბ) ბინაზედ და ეზოში დაიცვათ სისუფთავე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ფეხსადგილებს, ნამეტურ აბდილ ფეხსადგილებს, ეს უკანასკნელი უნდა იქნეს მორყილი კირით დღეში რამოდენიმეჯერ.

გ) უმი წყალი არ უნდა დალიოთ; მხოლოდ მოხარშული წყალი კარგათ უნდა შეინახოთ. ყოველ დღე ახლად მოხარშული წყალი უნდა იხმაროთ.

დ) დაიცავით ყოველგვარი სასმელ-საჭმელი და ჭურჭლეულობა ბუზებისაგან.

ე) ნუ სჭამთ ხილს. ხილი ყველაზე უფრო ადვილათ ისვრება ბუზებისაგან და გასუფთავება მისი ერთობ ძნელია.

გარდა ამ ზომებისა, არის კიდევ ერთი უებარი საშუალება, რომელიც დაგვიცავს ხოლერისაგან. ეს არის ხოლერის აცრა. ვინც აიცრის ხოლერას, იგი უზრუნველყოფილია ხოლერისგან ექვსი თვის განმავლობაში. ამ აცრას მგზავსათ ყვავილის აცრისა, არ მოაქვს არავითარი ზიანი-ვნება.

მოქალაქენო, მიიღეთ ზემო დასახელებული საერთო სანიტარული ზომები და აგრეთვე აიცარით ხოლერა.

ხოლერის აცრა სწარმოებს უფასოდ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (პუშკინის ქუჩა სალდათის ბაზარზედ) დილის 9 საათიდან 12 საათამდე.

მედიკო-სანიტარული ინსპექტორი **მეუნარგია.**

# ქუთაისი

— ქალაქის მოურავმა ქალაქის ინჟინერს წინადადება მისცა ქალაქის წყალსადენის მოწყობამდე რაიონიდან მოქალაქეთათვის იოლად და იაფათ წყლის მიწოდების საქმის მოსაგვარებლად საჩქაროთ სათანადო გეგმა გამოიმუშაოს.

— ქალაქის მოურავმა ამ დღეებში ქალაქის ყველა ქუჩები დაათვალიერა და სატეხნიკო განყოფილებას წინადადება მისცა დაჩქარებით შეადგინოს სია იმ ქუჩების და შესახვევების, რომლებიც გაფართოებას საჭიროებენ და შეიმუშაოს საჭირო გეგმა.

— სამსონ კილაძის სახელმწიფო ბანკის დირექტორათ არჩევის გამო ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ხმოსანი ლონგინოზ გრიგოლია.

— ქალაქის გამგეობამ საჭიროდ დაინახა თეატრის შენობის გაფართოება. ქალაქის ტეხნიკურ განყოფილებას მიენდო თეატრის შენობის გასაფართოებლათ სიჩქარით გამოიმუშაოს გეგმა და სათანადო-ხარჯთაღრიცხვით ის წარმოუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლათ.

— „ქუთაისის სავაჭრო სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ უკვე აირჩიეს დროებითი საორგანიზაციო გამგეობა, სადაც შევიდნენ: დ. თოფურიძემ, კ. დათეშიძე, მ. ლაღიძე, პ. რაფაელოვი და მ. ფიჩხაძე. წინასწარ საორგანიზაციო მუშაობის მთავარ ხელმძღვანელად მოიწვიეს ბათომის ყოფილი ქალაქის თავი ი. ანდრონიკაშვილი. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქების ბანკებში საზოგადოების აქციების შესაძენათ ხელის მოწერა უკვე დაიწყო.

ამ დღეებში შესდგა მომხმარებელ საზოგადოების „კოოპერაციის" წევრთა წლიური კრება, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა 1919 წლის ანგარიშები. 1919 წლის განმავლობაში, როგორც გამოირკვა, საზოგადოებას სულ გადაუტრიალებია 7,254,131 მ. და 6 კაპ. საქონელი და ამ თანხის ბრუნვიდან წმინდა მოგება დარჩენია მას 766,396 მან. და 59 კ. დაამტკიცეს 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვა (2975,000 მ.) აირჩიეს გამგეობა შემდგარი სამი პირისგან: (პ. თალაკვაძე, კოწია კანდელაკი და ე. ჭავჭანიძე).

# რკინის გზაზე

**როდემდის?** 6 აგვისტოს, დაახლოვებით საღამოს 5 საათზე საქ. სახაზ. მთავარი სადგურის მე-14-ე საწყობის პირდაპირ შევნიშნე რკინის გზის ლიანდაგზე ცეცხლი, რომელიც ეკიდებოდა შპალს. იქვე დავინახე ერთი მოსამსახურე და დაუყვირე, მაგრამ მან ყურიც არ მათხოვა. შემდეგ ცოტა მოშორებით, მოვკარი თვალი მორიგე მეისრეს. მივმართე მას და მივუთითე იმ ალაგს, სადაც ცეცხლი ძლიერდებოდა, მაგრამ არც მან გაიბერტყა ყური და მიპასუხა რუსულად: „Какое мое дѣло, что я пожарная команда, чтобы тушить".

ამ პასუხმა ძალზედ აღმაშფოთა. ამავე დროს მე-14-ე საწყობთან დავინახე ამავე საწყობის მოსამსახურე ბიქტორ შარაშიძე, რომელსაც ყვირილით მივმართე, ჩემს დაძახებაზე შარაშიძე წამსვე მოვიდა ცეცხლთან. კიდევ მივმართე იმავე მეისრეს, ძლივ-ძლივობით გავანძრევინეთ ხელები და ჩავაქრეთ ცეცხლი. როდესაც შევეკითხე „ერთგულ" მოსამსახურეს გვარი, ძლივს მივიღე პასუხი მან მითხრა: მარტინ ბინდიკასი ვარო. აგრეთვე მარ. ბინდკას ვკითხე ამხანაგის გვარი, მაგრამ მან მხოლოდ მითხრა რომ იგი ცეჩიკიაო. ასე მუშაობენ ზოგიერთი მოსამსახურენი დღით და რას იზამდენ ამ შემთხვევაში შუაღამისას? საჭიროა მიექცეს ამნაირ ელემენტებს მეტი ყურადღება ყველა საიონო და ცენტრალურ კომიტეტების მიერ. დაუყონებლივ უნდა გაიწმინდოს ყველა დაწესებულებები ისეთი პირე-

---

წარმოების ტენდენცია იქაც ემჩნევა.

ჩვენ ხშირათ ვაძლევთ სესხს ქალაქებს, ერობებს წარმოებისათვის. აქ საჭიროა მეტი წეს-რიგი. სანამ სესხი მიეცემოდეს ამა თუ იმ ერობას ან ქალაქს, საჭიროა წინდაწინვე შესწავლულ იქნას, რამდენათ სახეიროა, რამდენათ რაციონალურია განზრახული წარმოება. სესხის გაცემა შესაძლოა მაშინ, როცა წარმოებას იმდენათ კარგი პირი უჩანს, რომ, თუ მოგება არა, დაფარავს მაინც ხარჯებს, მათ შორის სესხსაც. უამისოთ სახელმწიფოს ფინანსები ხიფათში ჩავარდება, ცუდი მწარმოებელი ქალაქის ან ერობის წყალობით მთელი ხალხი დავალიანდება, და ეს კი მოასწავებს მის ჩავარდნას უცხო კაპიტალის ქსელში.

მეორეს მხრით, სახელმწიფომ უნდა აძლიოს არა სესხი, არამედ პირდაპირ დახმარება ერობათა და ქალაქების ადმინისტრატიულ აპარატის მოსაწყობათ, გზა და ხიდების გასაკეთებლათ, სკოლების ასაგებათ, ავათმყოფობასთან საბრძოლველათ, მდინარეთა კალაპოტში ჩასაყენებლათ და სხ. ეს მით უფრო, რომ მათი საბიუჯეტო უფლებები ჯერეც გამოურკვეველია. მე ხშირათ ვშიშობ კიდეც, რომ ადგილობრივი თვითმართველობანი, გატაცებულნი მრეწველობით, ივიწყებენ თავის პირდაპირ მოვალეობას: განამტკიცონ მართველობის საქმე, მოსპონ ავ-კაცობა, გაუძღვენ ზევით ჩამოთვლილ კულტურულ საქმეებს.

ოპოზიცია მარჯვნით და მარცხნით ღია კარებს აწვებოდა, როცა გვისაყვედურებდა ერთი მთლიან და საბოლოოთ ჩამოყალიბებულ ფინანსიურ-ეკონომიური გეგმის უქონლობას. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ გვქონდეს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, ან უკეთ—გეზი. ამაზე უკვე ვილაპარაკე: საზოგადოებრივ წარმოების და აღებ მიცემობის აღორძინება, კერძო ინიციატივას ხელის შეწყობა... რომ სრულიათ ჩამოყალიბებული ფინანსიურ-ეკონომიური გეგმა ჩვენ მართლაც არა გვაქვს, ამისთვის ჩვენ აუცილებლად ვთვლით დაარსდეს მთელი რესპუბლიკისათვის ერთი უმაღლესი ეკონომიური საბჭო, რომელსაც უნდა მიენდოს შესწავლა და დამუშავება როგორც საერთო, ისე ამა თუ იმ მნიშვნელოვან დარგის გეგმებისა. ამ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი უნდა იქნეს ყველა ჩვენი სასიცოცხლო ძალები, იქვე უნდა იქნენ მიწვეულნი საუკეთესო სპეციალისტები თუ ჩვენ არა გვყავს, სხვაგან უნდა მოვიწვიოთ. ჩვენი ქვეყანა არაა ღარიბი ბუნებრივი სიმდიდრით, არც მცხოვრებთა უუნარიანობით, ჩვენ დიდი მომავალი გვაქვს ამ მხრივ, მაგრამ ცუდი ეკონომიური პოლიტიკით, უვარგისი ფინანსიური სისტემით ჩვენ შეიძლება მათხოვარი გავხდეთ. საჭიროა ამ მხარეს მიექცეს უდიდესი ჩვენი ყურადღება. გეგმის დამუშავება უნდა ეხებოდეს აგრეთვე სასოფლო მეურნეობას, შინა-მრეწველობას.

ეკონომიისათვის ჩვენ დრო არა გვქონდა; პოლიტიკამ მეტად დიდი დრო წაგვართვა, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკამ და ქვეყნის დაცვამ. ჩვენი საგარეო პოლიტიკა დაგვიწუნა ჩვენმა კოლეგამ შენგელაიამ, ამ მხრივ იმასთან კამათი შეუძლებელია; მაგრამ ვფიქრობ რომ, ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, არ მიუღწევია არც ერთ რუსეთიდან გამოყოფილ სხვა სახელმწიფოს. მარტო ის რაც მოხდა ბათომში, არც ერთ პატარა სახელმწიფოს არ განუცდია. არ მახსოვს ისეთი მაგალითი, რომ დიდ სახელმწიფოებს თავისი დროშა ჩამოეშვას და პატარა სახელმწიფოს დროშა აღემართოს. ჩვენ კი ამას უსისხლოთ მივაღწიეთ. თქვენ რომ ბრძანებთ ჩვენი საგარეო პოლიტიკა არის სუსტიო, არ არის მტკიცეო, ამაში თქვენ შემცდარი ხართ. ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიულ ცნობას ჩვენ ერთი წლის წინეთ მივაღწიეთ, თუ საერთაშორისო იმპერიალისტების იარაღად გავხდებოდით, მაგრამ არ გავხდით სათამაშო ბურთად და საერთაშორისო იმპერიალიზმმა მაინც დაუშვა თავისი დროშა ჩვენ დროშის წინ. და თუ ოპოზიცია არ აფასებს ამას, დიდათ სამწუხაროა.

ჩვენს სახელმწიფოებრივ აპარატს, ჩვენს ადმინისტრაციას და თვითმართველობას განა ცოტა ნაკლი აქვს? არა, ბატონებო, ძალიან ბევრიც, მაგრამ ჩვენ ვამბობთ სისტემაზედ. ჩვენი სისტემა არის დემოკრატიული წარმომადგენლობა, რომელიც შემოვიღეთ ქალაქში მაზრაში, თემებში. ჩვენ არ გვქონდა ერობის საქმეში არავითარი პრაქტიკა, ტრადიცია. თქვენ იცით, რომ ერობა რუსეთში სამოცი წელიწადი მოქმედებდა, მოგეხსენებათ იმისი ძალაც, ის იყო, თუ გნებავთ, საძირკველი მთელი რუსეთის ახალი კულტურისა, ჩვენ არ გვქონია ეს საძირკველი და თქვენ კი თხოულობთ ყველაფერი ახლავე რიგზე უნდა იყოსო. ჩვენ ერთი ტიპიური ერობის მოღვაწეც არ გაგვაჩნდა, ვინაიდან ჩვენ რუსეთში არ შეგვეძლო მუშაობა ერობაში, რადგან ის არჩევნებზე და ისიც ცენზიანს ეყრდნობოდა, აქ კი არ მოგვცეს. შემდეგ ჩვენ რა ვქენით? ვქენით ის, რაც არ გაუბედნია არც ერთ სახელმწიფოს, არც სუსტსა და არც ძლიერს: თავიდანვე დაუმორჩილეთ ადმინისტრაცია ერობას. საზოგადოთ ყველგან ყველა განათლებულ ქვეყნებში ადმინისტრატიული აპარატი წინ უსწრებდა თვითმართველობას. როდესაც საქართველომ ეს შემოიღო, როცა მან განახორციელა კიდევ ჩემს დროს შემუშავებული საერობო დებულება, მე მაშინ საზღვარგარეთ გახლდით და, მართალი მოგახსენოთ, მეშინოდა, შესძლებს თუ არა ერობა გაუძღვეს თავის საქმეს, მოაწყოს ადმინისტრაცია და სხ. ეს ახალი საქმე იყო და, რასაკვირველია, დეფექტები ბევრი იქნებოდა. მე ეხლა ხშირად დავდივარ პროვინციებში და როცა უყურებ ერობათა მოღვაწეობას, კმაყოფილი ვრჩები. მე ვაქცევ ყურადღებას არა იმდენათ ნაყოფს, ჯერ ამისათვის პატარა დრო გავიდა, რამდენათ იმას, აქვთ თუ არა ჩვენს საერობო მუშაკებს ხალისი და ინტერესი საქმისადმი. უნდა მოგახსენოთ, ამ მხრით მე გაოცვიფრებაშიც კი მომიყვანეს მათ. ერთი საერობო მოღვაწე იმაზედაც კი შემომედავა, სად უფრო ცოცხალი და საინტერესო მუშაობაა: დამფუძნებელ კრებაში თუ ერობაში. ეს კი, ჩემის აზრით, თავი და თავია. ჩვენი ნორჩი ერობა გაფაციცებით მუშაობს, ბევრ შემცდარ ნაბიჯებს აკეთებს, თქმა არ უნდა, მაგრამ ეს არ მიშლის გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ის გაჯანსაღდება, განვითარდება და იქცევა ქვაკუთხედად ჩვენი სახელმწიფოებრიობისა.

მე ვათავებ იმით, რომ როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვედავებით, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს ის მომენტი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და გვიხდება მუშაობა; ეს არის მომენტი, როდესაც საქართველო ჩება საერთაშორისო პოლიტიკის ფერხულში. თქვენ კარგათ იცით, თუ როგორ არის დაპირდაპირებული ორი იმპერიალიზმი: ძველი ევროპიული და ახალი. თურქო-აღმოსავლური, ანუ აზიური, და რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩვენთვის. თქვენ იცით, თუ რა სიფხიზლე, მხნეობა და სიმტკიცე გვმართებს, რომ ამ ორ ძალის ერთმანეთთან შეხლის დროს კონფლიქტით შიგ არ გამოგვჭყლიტონ. და ამიტომ როცა აქ ორატორი გამოდის და ამბობს, მე არ მომწონს ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და სხვებიო და ამიტომ ბიუჯეტის წინააღმდეგ ვაძლევ ხმასო, ეს, რასაკვირველია, სერიოზული მსჯელობა არ არის. ჩვენ დღეს სერიოზული საკითხი გვაქვს წინ, და ამ სერიოზულ საკითხს სერიოზულად უნდა მოვეპყრათ. და მაშინ თქვენთან ერთად ვიტყვით, რომ მივდივართ წინ, გვაქვს მტკიცე პოლიტიკა, შევქმნით მთლიან ეკონომიურ გეგმას, და რესპუბლიკას უზრუნველყოფთ, უზრუნველვყოფთ ჩვენს თავისუფლებას და მამულს. ამის თავდები ჩვენი ხალხია, რომლის წარმომადგენლიც ჩვენ ვართ, ჩვენი მედგარი დემოკრატია, ჩვენი მამაცი და თავდადებული ჯარი და გვარდია. (ტაში).

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის სავაჭრო

# ი. ა. მაჭარაძის და ვ. ა. წოწონავასი

ქ. ბათომი დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 26

სადაც მოიპოვება ყოველ გვარი ავეჯეულობა: და ჭურჭლეული შუშის, ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ალიუმინის და სხვა. ვყიდულობთ და ვყიდით ყოველნაირ ავეჯეულობას. (2396—10—2)

[illegible]

## თეატრი და ხელოვნება

**სახელმწიფო თეატრი.** [illegible]

**სახელმწიფო თეატრის არტისტების გამოცხადება.** [illegible] ისინი თავის თავს სახელმწიფო თეატრის არტისტებს უწოდებენ. ამგვარი რეკლამა შეუწყნარებლად მიგვაჩნია, რასაც დღეიდან ვკრძალავ. კაფეების და ბალების მეპატრონენი სახელმწიფო თეატრის მსახიობთა გამოსვლის გამოცხადებისათვის სამართალში იქნებიან მიცემულნი. (დ. ს.)

## ს. დ.-პარტიაში

**ფოთი.** 17 ივლისს შესდგა ახლად არჩეული კომიტეტის წევრთა სხდომა. კომიტეტში არჩეული არიან გ. ჩიტაია, მ. კინწურაიშვილი, ა. სამსონაძე, ს. გოგიბერიძე, ა. რუხაძე, ს. ბასილია, მ. მამალაძე, დ. ჩაჩიბაია, რ. ქორქია, კ. ჯაიანი, ვ. ჯიბლაძე, ა. ფაჩულია, მ. ქადიეიშვილი. მათ კანდიდატებათ: ვ. კომახიძე, ლ. სოსელია, ს. ჩიჩუა, დ. ფარჩხალაძე, ვასო კომახიძე, ს. ხავთასი, ივ. (ბანძლი) ნოდია.

დღის წესრიგში იყო: 1) პრეზიდიუმის არჩევა, 2) მოხსენება ვასო ნოდიასი, 3) დაკარგული მანდატების განახლება და 4) გადამტვირთველ კავშირში მუშების მიღება.

პრეზიდიუმში არჩეულია: გ. ჩიტაია, (თავმჯდომარეთ), ა. სამსონაძე (ამხანაგად), რ. ქორქია (მდივნად) ს. გოგიბერიძე თავმჯდომარის მეორე ამხანაგად, და მ. კინწურიშვილი წევრად.

— ამხ. ვასო ნოდიას მოხსენება შინაარსიანი იყო. მომხსენებელი შეეხო კონსტიტუციის პროექტს. მესამე კითხვის შესახებ კომიტეტი ადგენს: ამხანაგი, რომელიც დაჰკარგავს პარტიულ მანდატს, გამოაცხადოს ამის შესახებ პარტიულ ორგანოში და დღიდან განცხადებისა ორი კვირის შემდეგ მიიღოს ახალი მანდატი.

უკანასკნელი კითხვის შესახებ, კომიტეტი ადგენს: კავშირში პირველ რიგში მიღებული იქნან გვარდიელნი და ხე-ტყის ქარხნის ყოფილი მუშები, რომლებიც წარმოების ლიკვიდაციის გამო დარჩნენ უმუშევრად.

**მარნელი.**

---

**გორი.** პირველათ მიწის ძვრის შემდეგ, 27 ივლისს, მოწვეულ იქნა სოც.-დემ. მუშათა პარტიის გორის მეორე და მესამე რაიონების წევრთა შეერთებული კრება.

მიუხედავათ იმისა, რომ მიწის ძვრამ ამხანაგების დიდი ნაწილი მიფანტა მაინც დაესწრო საკმაო რიცხვი. კრება გაიხსნა კომიტეტის ბინაზე მ. კობერიძის თავმჯდომარეობით და ი. რუხაძის მდივნობით. გაირჩა შემდეგი საკითხები: მოხსენება პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ, ადგილობრივი პარტ. მუშაობა და რეორგანიზაცია, მუშათა უბნის შექმნა ქ. გორში, მიმდინარე საკითხები.

პირველი კითხვის შესახებ კრებამ სასურველათ დაინახა, რომ მოხსენება გაკეთდეს უფრო ფართე კრებაზე, სადაც, მეორე და მესამე რაიონის გარდა, მოწვეული იქნებიან პირველი რაიონის წევრებიც.

მეორე საკითხზე კრებამ დაადგინა: ვინაიდან გორში მცხოვრებ პარტიის წევრთა რიცხვი შემცირდა მიწის ძვრის გამო, ამიტომ არსებული მეორე და მესამე რაიონი გადაკეთდეს ერთ რაიონად, რის შემდეგ ქ. გორში იქნება მხოლოდ ორი რაიონი; პირველი რაიონი, რომელშიაც შედიან მტკვარ გაღმის და რკინ. გზ. ლიანდაგის მუშები და მეორე რაიონი მთელი გორის წყალ გამოღმის მცხოვრები წევრების.

რეორგანიზაცია კომიტეტისა კი მოხდეს მაშინ როდესაც აღდგენილი იქნება სრული რეგისტრაცია პარტიის წევრებისა.

მესამე კითხვა,—აზრი მუშათა უბნის გაშენების შესახებ კრებამ მოიწონა და დაავალა კომიტეტის პრეზიდიუმს შეადგინოს სია იმ მოწინავე მუშებისა, რომლებიც დაისახლებია ახლად გაშენებულ უბანში.

მიმდინარე კითხვებში გაირჩა შრომის დაცვა ქ. გორში. გამოირკვა, რომ მიწის ძვრის შემდეგ სრულებით აღარ ექცევა ყურადღება დაქირავებული შრომის დაცვას და საზოგადოთ დასვენების საერთო ნორმები, რომელიც იყო მიწის ძვრამდე, სრულებით მოისპო. ვინაიდან სამწუხაროთ, შრომის კომისრის რწმუნებულის მუშაობა ფაქტიურათ არსებობს თუ არა არავინ იცის, კრებამ დაადგინა ეს ეცნობოს ხმოსანთა ს. დ. ფრაქციას ზომების მისაღებათ. შემდეგ წევრები დაყოფილ იქნენ ათეულებათ და არჩეულ იქნენ ათისთავები. გამოითქვა სურვილი, რომ საერთო კრებები იმართებოდეს თვეში ერთხელ, პრეზიდიუმისა კვირაში ორჯერ მაინც და აგრეთვე ათეულებში იმართებოდეს საუბრები.

**მოხეტიალე რაჭველი.**

## მუშათა შორის

**თელავი.** პროფ. კავშირთა საბჭოში. მას შემდეგ, რაც თელავის მაზრის პროფ. კავშირთა საბჭომ მოაწყო მუშათა მაგიდის განყოფილება და მომარაგების სამინისტროს საშუალებით დაიწყო სურსათ-სანოვაგით დაკმაყოფილება მუშა-მოსამსახურეთა, არ დარჩენილა არც ერთი დაწესებულება, რომელთა მოსამსახურენი იყოს კავშირის გარეშე. ყველანი დაირაზმნენ და თხოულობენ კავშირის წევრად მიღებას. დღეს კავშირთა საბჭოში ითვლებიან წევრებად 13 კავშირამდის. მუშაობა პროფ. კავშირებისა მოისუსტებს, რადგანაც მათ არა აქვთ ბინა, სადაც შეიძლებოდეს თავისუფლად კრებების გამართვა და კანცელარიული საქმეების წარმოება. მესამე თვეა, რაც საბჭომ ერთ-ერთ თავის სხდომაზე გამოიტანა დადგენილება: დასთმობოდა მას თვალსაჩინო ადგილზედ ოთხ-ოთახიანი შენობა. იყო ნაჩვენები ორი სახლი აღნიშნულ მიზნისთვის, რომლიდგანაც ერთ-ერთი უნდა დათმობოდა პროფ. კავშირთა საბჭოს. შუამდგომლობით ამის შესახებ საბჭო შევიდა ქალაქის თვითმართველობაში მაგრამ მესამე თვეა პასუხს ვერ ღირსა საბჭოს მიაჩნია ასეთი გულგრილობა საქმისადმი დაუშვებლად და ფიქრობს, რომ ქალაქის გამგეობა საჩქაროდ მიიღებს ზომებს კანონიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გულგრილობა ქალაქის გამგეობისა კიდევ უნდა აღინიშნოს 8 საათის სამუშაო დღის გაუტარებლობაში. დუქნები, მაღაზიები და სახელოსნოები თელავში ღიაა საღამოს 9 საათამდის. საბჭომ მიმართა ამის შესახებ შრომის მინისტრის რწმუნებულს თ. თ. ბანგაშვილს, რომელმაც მოახდინა სათანადო განკარგულება ქალაქის გამგეობისადმი, მაგრამ უკვე თვე გადის მაღაზიები ისევ ძველებურად მამაპაპურად ღიაა არის საღამოს 9 საათამდის: არ ვიცით ვინ არის აქ დამნაშავე—ქალაქის გამგეობა, თუ მისი მოხელენი, ყოველ შემთხვევაში, ქალაქის გამგეობაა პასუხისმგებელი, რომ 8 საათის სამუშაო დღე არ ტარდება ცხოვრებაში. აქედან ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: პროფ. კავშირებისადმი ვერ არის სათანადო ყურადღება მიქცეული ქალაქის გამგეობის მიერ. კავშირთა საბჭო მიაქცევს რა ქალაქის გამგეობის ყურადღებას აღნიშნულ დეფექტებზე, ფიქრობს, რომ უკანასკნელი იქნება გამოსწორებული.

**სტუმარი.**

## პროვინცია

**სამურზაყანოში.** სამურზაყანოს მაზრა დასახლებულია მეგრელებით, რომელნიც თავის თავს არა „მეგრელს“, არამედ „სამურზაყანოელს“ უძახიან. ენა, ჩვეულება, ზნე, ყოფა-ქცევა მეგრული აქვთ.

სამწუხაროდ ასეთი ბუნებით მდიდარი ქვეყანა კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილია. განათლება არ არის, ხალხი სიბნელეშია: წარმოიდგინეთ, რომ სამოცი ათასი მცხოვრებთაგან სკოლაში (ისიც დაბაში) მხოლოდ ორი ათას ცხრაასი მოწაფე სწავლობს. მთავრობამ ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს; საჩქაროდ მიღებულ უნდა იქნას ზომები უმაღლესი სკოლის ან საშუალო სასწავლებლის გასახსნელად.

ერობა, რომელიც ბედზე მოევლინა სამურზაყანოს, მართალია არ აკლებს ძალას და ღონეს, მაგრამ ეს არ კმარა. ერობას უნდა დაეხმაროს მთავრობა. სამურზაყანოს ადმინისტრაციამ, შესძლო ყაჩაღებისაგან კუთხის გაწმენდა და დღეს სამურზაყანოში სრული სიწყნარეა...

ერობამ დიდი ყურადღება მიაქცია წელს სურსათის საქმეს. მან შესძლო დიდძალი სიმინდის მიცემა საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის. ამავე დროს დიდი დახმარება გაუწია მან ადგილობრივ დამშეულ ხალხს, მისცა სიმინდი ზოგს უფასოდ, ზოგს მომავალი მოსავლის ანგარიშში და ზოგს იაფ-ფასებში. დიდი ძალი ფართლეულობა და სხვადასხვა საქონელი მიაწოდა იაფ-ფასებში ხალხს, გახსნა ფურნე, შეიძინა რეზერვუარები, რათა ნავთი მუდამ საყოფი ჰქონდეს. უმტკივნეულოდ და უექსცესოთ აკრიბა ერთ-დროული მიწის გადასახადი: ხალხს თვითონ მიქონდა გადასახადი, იცოდა თუ რა მიზნისათვის იხდიდა. ქუთაისში მოაწყო მასწავლებელთა კურსები სამურზაყანოელებისათვის, სადაც 50 მასწავლებელი გაგზავნა თავისი ხარჯზე, რაც დაჯდა 400.000 მან. ერობის გამგეობა შეუდგა გზების შეკეთებას, ახალის გაყვანას, ხიდების მოწყობას და სხვა. სამუშაოდ გამოყვანილია თვით საზოგადოება.

ერობის გამგეობა ცდილობს ახლო მომავალში დაამზადოს ტყე. ამისათვის მიწათ-მოქმედების სამინისტროში აღძრულია შუამდგომლობა ხის სახერხი ქარხნის, რომელიც იმყოფება მდ. ინგურზე ს. ოცარცეში და ეკუთვნის ჯოტო შერვაშიძეს, ერობაზე გადმოცემის შესახებ.

აგრონომიულ დარგში ერობის გამგეობა აძლევს რა სხვადასხვა დახმარებას ხალხს ამ მხრივ—მოწადინებულია მოკლე ხანში გახსნას საშუალო საგრონომიო სასწავლებელი. გახსნილია საცდელი მინდვრები, ბოსტნები და სხვა, სტატისტიკური დარგშიც გამგეობა აწარმოებს მუშაობას. აგრარული განყოფილება ენერგიულად მუშაობს. მალე ადგილ-მამულის ჩამორთმევა დამთავრდება, რის შემდეგ შეუდგებიან მიწების კერძო საკუთრებად დარიგებას გლეხებზე. მედიკო-სანიტარულ დარგში გამგეობას მოწყობილი აქვს მაზრაში ერთი სამკურნალო. გახსნილია ერთი საფერშლო პუნქტი. გახსნილია ერობის აფთიაქი. **ბაგრატ უჩანეიშვილი.**

— —

**ახალქალაქის თემი** (გორის მაზრა) ახალქალაქის თემის გლეხობა დიდ იმედს ამყარებდა მინდვრის მოსავალზედ, მიწის ძვრისაგან დაზარალებული მოსავლით ჰფიქრობდა წელში გამოსწორებას და მართლაც, თითქოს იმედი უმართლდებოდა კიდეც—გაზაფხულიდან ჰპირნახულს კარგი პირი უჩანდა და გლეხ-კაცობის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ მოვიდა მომკის დრო და სწორეთ ამ დროს დაატყდა ხალხს უბედურება—მინდვრათ გაჩნდა აუარებელი რიცხვი მინდვრის თაგვებისა, რომელთაც მომკული და მოუმკელი ჰპირნახული გაანახევრეს თემში უმთავრესათ ურწყავ ადგილებში (ხოვლეში, ნიაბში და ახალციხეში) და სხვაგან. თაგვმა იმდენათ დაზარალა ზოგიერთი სოფლები თემში, რომ მოსავალი თითქმის ნახევარ სოფელს შემოდგომამდისაც არ ეყოფათ. თაგვის წინააღმდეგ არავინ არავითარ ზომებს არ იღებს და გარდა ამისა, ზომების მიღება დაგვიანებულათ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა თემის გამგეობა ეხლავე შეუდგეს ჰპირნახულის შეძენას, თორემ ზამთრის განმავლობაში ბევრ სოფლებს შიმშილი მოელით.

**გარეული.**

---

**რაჭა.** შარშანდელ მოუსავლობის გამო წელს რაჭაში დიდი გაჭირვება იყო. ფუთი სიმინდი ამ უკანასკნელ დრომდე 1300—1500 მანეთამდე იყიდებოდა და საშოვნიც ძნელი იყო. სიმინდში შინაურ პირუტყვს სცვლიდნენ. ახლა ე ორი კვირაა მამისონის უღელტეხილზე გზა გაიხსნადა ოსებს ბევრიგამოაქვთ სიმინდი ქ. ონში. ფუთი სიმინდი 800 მან. იყიდება. ოსები სიმინდს ფართალზე უფრო სცვლიან და ეს გარემოება კი უფრო აძვირებს სიმინდს, რადგანაც ფართალი ვაჭრებს მოეპოებათ და სიმინდიც მათ ხელში გროვდება—შემდეგ ვაჭრები ხალხზე ჰყიდიან, რასაკვირველია, მოგებით. ოსისგან თუ იყიდე სიმინდი—ოსი მაშინვე ვაჭართან მიდის ფართლის საყიდლათ და ვაჭრები კი ორ ზომა ფასს ახდევინებენ ფართალში. ოსიც, როგორც ფართალს უფასებენ, იმის შესაფერისად ჰყიდის სიმინდს. ერობასაც აქვს ფართალი, მაგრამ ჯერჯერობით არ სცვლის სიმინდზე, უცდიან მაზანდის დაკლებას.

— 19 ივლისს დიდი წვიმა მოვიდა და ნიაღვრებმა ბევრი ნათესი გაანადგურეს. შინაური პირუტყვიც ბევრგან იმსხვერპლა ნიაღვარმა. დაზარალებულია უფრო ფერდობებზე და ხევების პირას მდებარე ადგილები. ნიაღვრისგან დაზარალებულია შემდეგი სოფლები: იწა, ახალსოფელი, საკეცია, ზნაკვამოტყიარი, ხოტევი და მცირედ დაზარალდენ ორიოდე სხვა სოფლები.

— წელს საერთოდ რაჭაში მოსავალს კარგი პირი უჩანს. პური და ქერი შემოსულია და კარგი გასავალი აქვს. ასეთი კარგი სიმინდი დიდი ხანია რაჭაში არ ყოფილა. **ალ—დონ.**

## წერილი რედ. მიმართ

სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის კულტურულ-განმანათლებელი სექცია ულრმეს მადლობას უცხადებს ქ-ნთ თამარა ფარულავას, ოლღა დიდიას, ალექსანდრა ჩაგუნავას, ფონ-კლეისს მირიმანოვას, ეკატერინა დიდიანს ქეთო აფაქიძეს, ლილი მიქელაძეს, თამარა შაფათავას. მელანია შნეიდერს, ნინა კორძაიას, ლიუბა ფანცულაიას, აგნესა ამირაჯიბს, ანა ნემსაძეს, მარუსია ფირალოვას, მარგარიტა წულუკიძეს და სხვ. ბ. ბ. გ. დუმბაძეს. არკადი ნიკოლოზისძე მიქაშავიძეს, ტიტე ართმელაძეს და სხვ., რომელთაც არ დაიშურეს რითაც კი შეეძლოთ მთელი თავის ენერგიით დაეხმარენ სექციას საღამოს მოწყობაში და ამით მოიხადეს თვისი ვალი, როგორც სამშობლოს ისე დახოცილ გვარდიელთა ოჯახების და დასახიჩრებულ გვარდიელთა წინაშე.

სექციის მდივანი **ა. ჭუმბაძე.**

### ანგარიში.

საღამოსი, რომელიც იყო გამართული მე-2-ე ქართულ კლუბში 22 ივლისს ა/წ სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის ადერბეიჯანის ფრონტზე დახოცილ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოთ შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი: შავიქვის მრეწველთა საზოგადოება „ჩემო“ 100,000 მან., ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი 50.000 მან., საგანგებო ბატალიონის გვარდიელებისაგან 52,000 მან., ცენტრობანკი 20,000 მან., თფილისის ვაჭრების ბანკი 15,000 მან., კავკასიის ბანკი 15,000 მან., კანტორა ა. მ. ხოშტარიასი 15,000 მან. სავაჭრო სახლი „კოსმოსი“ 10,000 მან., სპარსეთის კავკასიური საზოგადოება 10,000 მან., ვოლგა-კამის ბანკი 7,500 მან., ამიერ-კავკასიის ბანკი 5,000 მან., კოპერატიული ბანკი 5,000 მან., საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება 5,000 მან., ქალაქ თფილისის კოოპერატივთა კავშირი 5,000 მან.. ბანკის სახლი „კავკასია და გერმესი“ 5,000 მან., „ოქროს ვერძი“ 5,000 მან., კოოპერატივების ცენტრალური კავშირი 5,000 მან., ერობების კოოპერატიული კავშირი 5,000 მან., სათავადაზნაურო ბანკი 3,000 მან., მიწის ბანკი 2,000 მან., ფრიდონოვის კანტორა 1,000 მან., მ. მ. გრუშკი 5,000 მან., არონიანი 2,000 მან., იტალიის კონსული ფრანზლონი 1,000 მან., სპარსეთის გენერალური კონსული 500 მან., ჯანელიძე 1,000 მან., ვ. ტ. ფეფელოვი 1,000 მან., სხვა და სხვა პირებისაგან 45,000 მან., ბატირ-ბეკ მამსუროვისაგან 1.000 მ.

შემოწირულებანი შეკრებილი ბათომში: იტალო კავკასიის ბანკი 25,000 მან., კრისტინა, პალოვანი და კ-ო 20,000 მან., ამხ. „საგო“ 30,000 მან., ე. მერიევიჩი 20,000 მან., ამიერ-კავკასიის ბანკი 15,000 მან., რუსეთ-აზიის ბანკი 15,000 მან, ცენტრობანკი 15,000 მან., ძმ. არვანტიდი 15.000 მან., ამხ. „არაქსი“ 15,000 მან., ვიქტორ ვარლაალესი: 15,000 მან., მ. მარუილიდის 15,000 მ. საზ. „კავკაზ და მერკური“ 10,000 მან., ს. მ. შიბაევი და ამხ. 10,000 მან., პომერანცი 10,000 მან., ზ. პოზნიანკი 10,000 მან., შავი ზღვის ბანკი 5,000 მან., მ. ურინოვსკი 5,000 მან., გასან მუსტაფოვი 5,000 მან., გ. სტუარი 5,000 მან., ამხ, „ტვეტ“ 5,000 მან., ქ-ნი ჰასკელი 5,000 მან., - №№ 3,000 მან., ს. ედვარდესი 2,000 მან, საფრანგეთის მისიისაგან 2,000 მან., ნაფრა იტალიანა 2,000 მან., ა. ვონაზევი 2,000 მან., ქ-ნი კაფტალი 1,000 მან., ბ-ნ გოხვასერი 1,000 მან., ბარონესსა შტეინგელი 1,000 მან., საღამოს გამართვისაგან (ბუფეტი, კიოსკი, ღვინო და სხ.) 158,400 მან., ბილეთების გაყიდვიდან 31,125 მან. **სულ შემოსავალი 906,026 მან.**

**გ ა ს ა ვ ა ლ ი** ღვინო და შამპანიურში 42,740 მან., შაქარში 6,000 მან., ლიკიორში და კონსერვებში 2,000 მან., ბათომში წასვლა დაჯდა 13,950 მან., გატეხილ ჭურჭლეულობის ფასი 5,670 მან., გასავალი საღამოს მოსაწყობათ, ბუფეტის, კიოსკების და სხვა 52,996 მ. 50 კაპ., წვრილმანი ხარჯები 2,060 მ. **სულ გასავალი 125,606 მ. 50 კაპ.**

დარჩა წმინდა შემოსავალი 780,419 მან. 50 კაპ.

ამას გარდა შემოსწირეს სანოვაგით და ნივთებით შემდეგმა საზ-ბმა: „საერო“, „კახეთი“, „კავშირთა-კავშირი“ საკონდიტროებიდან სალაყაიასი საკიანცის, ლვამიჩავა, შარტავა, ბრეგვაძე, დომენტი ინასარიძისაგან, მაღაზიებიდან სუკიასოვის, ანანოვის, ბერუჩევის. უფასოთ გვათხოვა ჭურჭლეულობა სიმონიანცმა, სევანოვმა და სხ.

საღამოს მომწყობი კომისია დიდ მადლობას უცხადებს ყველას, ვინც პირადი დახმარებით ან შემოწირულებით ხელი შეუწყვეს საღამოს მოწყობას.

საღამოს დიასახლისი: **თამარა ფარულავა.** პასუხისმგებელი გამგენი: **ივ. ცომაია, ა. მიქაშავიძე.**

## ცნობები

გვარდიელი ვარლამ სიმონისძე ქურიძე 1919 წელს მსახურებდა სახალხო გვარდიაში და იმყოფებოდა გაგრის ფრონტზე, ამის შემდეგ მშობლებმა არაფერი იციან, სთხოვენ ვინც იცის მიაწოდოს ცნობები ქ. სამტრედიაში გაბრიელ ვასილისძე ქურიძეს.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

## განცხადებანი

ერევნის მოედანზე

**დაეკარგა საფულე**

რომელშიაც იყო სხვადასხვა საჭირო ქაღალდები და პირადობის საბუთები შტაბს-კაპიტან მაღალაშვილის სახელზე, უმორჩილესათ ვთხოვ მპოვნელს დამიბრუნოს. რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. მისამართი: თფილისის საბაჟო არტელი, მაღალაშვილს. (საქართველოს რესპუბლიკა). (2622—1—1)

**ბორჯომში**

ექიმი

**ბესარიონი პაპოვი**

თბილისიდან.

იღებს ყელის, ყურის და ცხვირის ავადმ. მისამართი გაიგება პარკში. (2554—10—4)

ექიმი

**პ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საწმართველოს პირდაპირ (2264—თ.)

ექიმი **ივ. გოკიერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკეი შერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გოსპიტალი—ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასული—მილის ავათმყოფობას ვკურნავ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი

**ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი**

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან **მიხეილის პრ. № 23** ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად **სიფილისი,** ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმება

**ნიკოლოზ მახვილაძე**

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ექიმი

**ნ. ღ. ტურიაშვილი**

იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

**სამკურნალო**

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1553—თ.)

დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ელექი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი

**ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

ექიმი

**ეკატერინე ივანეს ძე ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს. საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741 თ.)

ექიმი

**გ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რიკოთის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი

**ხრისტოფორ ივანეს ძე ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742—თ.)

**ყოველნაირი კაცებისა და ბავშვების კოსტიუმები**

ფასები: 2500 მან. და უფრო ძვირიც, სხვადასხვა **ინგლისური მანუფაქტურა** (იყიდება ცალობით და ბითუმათ) მიღებულია

**ამხანაგობა „პროვოდნიკში“**

მაღაზია

**თფილისი სოლოლაკის ქ. № 4 ტელ. 3—62.** (2623—1—1)

**ამ დღეებში თფილისში გამოვა**

ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

**„სოფლის მუშა“**

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

**გაზეთი გამოვა ორშაბათობით**

მასალები უნდა გამოიგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ალ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. სტ. ელიავა.